პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი № 77 (11081) | სამშაბათი, 1 აპრილი, 1958 წ. | ფასი 20 კაპ.

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება

### სსრ კავშირის მთავრობის—სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შექმნის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

შეიქმნას სსრ კავშირის მთავრობა — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე — ნიკიტა სერგის-ძე **ხრუშჩოვი**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე — ფროლ რომანის-ძე **კოზლოვი**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე — ანასტას ივანეს-ძე **მიქოიანი**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე — ალექსი ნიკოლოზის-ძე **კოსიგინი**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე — ალექსანდრე თევდორეს-ძე **ზასიადკო**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე — იოსებ იოსების-ძე **კუზმინი**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე — დიმიტრი თევდორეს-ძე **უსტინოვი**

სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრი — ივანე გრიგოლის-ძე **კაბანოვი**

სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრი — ნიკოლოზ პავლეს-ძე **დუდოროვი**

სსრ კავშირის უმაღლესი განათლების მინისტრი — ვიაჩესლავ პეტრეს-ძე **ელიუტინი**

სსრ კავშირის გეოლოგიისა და წიაღის დაცვის მინისტრი — პეტრე იაკობის-ძე **ანტროპოვი**

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი — მარიამ დიმიტრის ასული **კოვრიგინა**

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი — ანდრია ანდრიას-ძე **გრომიკო**

სსრ კავშირის კულტურის მინისტრი — ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე **მიხაილოვი**

სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის მინისტრი — ვიქტორ გიორგის-ძე **ბაკაევი**

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი — როდიონ იაკობის-ძე **მალინოვსკი**

სსრ კავშირის გზათა მინისტრი — ბორის პავლეს-ძე **ბეშჩევი**

სსრ კავშირის კავშირგაბმულობის მინისტრი — ნიკოლოზ დემიანის-ძე **ფსურცევი**

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრი — ვლადიმერ ვლადიმერის-ძე **მაცკევიჩი**

სსრ კავშირის საშუალო მანქანათმშენებლობის მინისტრი — ეფთიმე პავლეს-ძე **სლავსკი**

სსრ კავშირის ვაჭრობის მინისტრი — დიმიტრი ვასილის-ძე **პავლოვი**

სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის მინისტრი — ევგენი თევდორეს-ძე **კოჟევნიკოვი**

სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრი — არსენი გრიგოლის-ძე **ზვერევი**

სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის მინისტრი — სერგი მიხეილის-ძე **ტიხომიროვი**

სსრ კავშირის პურის პროდუქტების მინისტრი — ლეონიდე რომანის-ძე **კორნიეცი**

სსრ კავშირის ელექტროსადგურების მინისტრი — ალექსი სერგის-ძე **პავლენკო**

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე — სსრ კავშირის მინისტრი — გიორგი ვასილის-ძე **პეროვი**

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე — სსრ კავშირის მინისტრი — ვასილ პეტრეს-ძე **ზოტოვი**

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე — სსრ კავშირის მინისტრი — ნიკოლოზ ივანეს-ძე **სტროკინი**

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე — სსრ კავშირის მინისტრი — მიხეილ ვასილის-ძე **ხრუნიჩევი**

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის განყოფილების უფროსი — სსრ კავშირის მინისტრი — გრიგოლ სერგის-ძე **ხლამოვი**

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის განყოფილების უფროსი — სსრ კავშირის მინისტრი — ალექსანდრე აკიმის-ძე **იშკოვი**

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის განყოფილების უფროსი — სსრ კავშირის მინისტრი — ეფთიმე სტეფანეს-ძე **ნოვოსიოლოვი**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საბჭოთა კონტროლის კომისიის თავმჯდომარე — გიორგი ვასილის-ძე ენიუტინი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე — ალექსანდრე პეტრეს-ძე **ვოლკოვი**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტის თავმჯდომარე — იური ევგენის-ძე **მაქსარიოვი**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საავიაციო ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე — სსრ კავშირის მინისტრი — პეტრე ვასილის-ძე **დემენტიევი**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავდაცვის ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე — სსრ კავშირის მინისტრი — კონსტანტინე ნიკოლოზის-ძე **რუდნევი**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს რადიოელექტრონიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე — სსრ კავშირის მინისტრი — ვალერი დიმიტრის-ძე **კალმიკოვი**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გემთმშენებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე — სსრ კავშირის მინისტრი — ბორის ევსტატეს-ძე **ბუტომა**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე — ვლადიმერ ალექსის-ძე **კუჩერენკო**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე — სიმონ ანდრიას-ძე **სკაჩკოვი**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე — ივანე ალექსანდრეს-ძე **სეროვი**

სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის გამგეობის თავმჯდომარე — ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე **ბულგანინი**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსი — ვლადიმერ ნიკონის-ძე **სტაროვსკი**

სსრ კავშირის კონსტიტუციის 70 მუხლის შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში შედიან მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეები თანამდებობის მიხედვით:

რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე — დიმიტრი სტეფანეს-ძე **პოლიანსკი**

უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე — ნიკიფორე ტიმოთეს-ძე **კალჩენკო**

ბელორუსიის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე — ნიკოლოზ ეფრემის-ძე **ავხიმოვიჩი**

უზბეკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე — მანსურ ზიას-ძე **მირზა-ახმედოვი**

ყაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე — დინმუჰამედ ახმედის-ძე **კუნაევი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე — გივი დიმიტრის-ძე **ჯავახიშვილი**

აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე — სადიხ გაჯიარალის-ძე **რაგიმოვი**

ლიტვის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე — მოტეიუს იუოზის-ძე **შუმაუსკასი**

მოლდავეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე — ალექსანდრე ფილიპეს-ძე **დიორდიცა**

ლატვიის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე — ვილის ტენისის-ძე **ლაცისი**

ყირგიზეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე — კაზი დიკამბაის-ძე **დიკამბაევი**

ტაჯიკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე — ნაზარშო **დოდხუდოევი**

სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე — ანტონ ერვანდის-ძე **ქოჩინიანი**

თურქმენეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე — ჯუმა დურდი **ყარაევი**

ესტონეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე — ალექსი ალექსანდრეს-ძე **მიურისეპი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
**კ. ვოროშილოვი**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
**მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი, 1958 წ. 31 მარტი.

## სსრ კავშირის მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია

# ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის საბოლოო სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო!

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადება საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ სავსებით მოიწონეს როგორც ხალხმა, ისე ხალხის წარმომადგენლებმა — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა. **(ტაში).**

გამოსული დეპუტატები ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ პარტიისა და მთავრობის მიერ შემუშავებულ ღონისძიებათა განხორციელებას მოჰყვება სოფლის მეურნეობის ახალი აღმავლობა, რომ ეს დიდი ნაბიჯი იქნება კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში.

ამ საკითხის განხილვისას ყველა დეპუტატი ერთსულოვნად მოითხოვდა დასახულ ღონისძიებათა მოწონებას. შეიძლება ეჭვი არ ვიქონიოთ, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო მთლიანად დაუჭერს მხარს ამ წინადადებებს და მიიღებს კანონს, რომელშიც გამოხატული იქნება მთელი საბჭოთა ხალხის ნება. **(მქუხარე ტაში).**

დეპუტატებმა გამოთქვეს ბევრი კონკრეტული მოსაზრება და სურვილი, რომლებიც ყურადღებას იმსახურებენ. როგორც ჩანს, ისინი უნდა გავითვალისწინოთ როგორც კანონში, ისე პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში ამ საკითხზე, რომლის შემუშავება ხდება და რომელიც მიღებულ იქნება.

დეპუტატთა წინადადებანი და მშრომელთა ძვირფასი სურვილები, რომლებიც საყოველთაო-სახალხო განხილვის დროს გამოითქვა, უნდა გაითვალისწინონ აგრეთვე რესპუბლიკურმა, სამხარეო, საოლქო და რაიონულმა ორგანიზაციებმა პრაქტიკულ მუშაობაში ამ დიდი სახელმწიფოებრივი ღონისძიების განსახორციელებლად.

ამხანაგო დეპუტატებო! ნება მიბოძეთ ერთხელ კიდევ მივაქციო თქვენი ყურადღება ზოგიერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს.

უწინარეს ყოვლისა ტექნიკის გაყიდვის წესის შესახებ, იმის შესახებ, თუ რომელ კოლმეურნეობას შეუძლია იყიდოს და გამოიყენოს ტექნიკა და რომელს არ შეუძლია. აქ მნიშვნელობა აქვს არა მარტო ეკონომიურ მხარეს, თუმცა ეს მთავარია. ბევრ მოწინავე კოლმეურნეობას შეუძლია ტექნიკა აანაზღაუროს ერთ-ორ წელიწადში, რაც მოწმობს მათს განვითარებულ ეკონომიკას, მათს ორგანიზებულებას, იმას, რომ ასეთ კოლმეურნეობებში გაიზარდნენ კადრები, არიან გამოცდილი ხელმძღვანელები. მოწინავე კოლმეურნეობები, უეჭველია, შეძლებენ არა მარტო იყიდონ, არამედ აგრეთვე ნაყოფიერად გამოიყენონ ტექნიკა და უფრო წარმატებით გადაჭრან პარტიის მიერ დასახული ამოცანა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდების დარგში.

მაგრამ ჩვენში არიან საშუალო და ჩამორჩენილი კოლმეურნეობები. მინდა შევეხო ჯერ საშუალო კოლმეურნეობებს, ეგრეთწოდებულ ჩვენს საშუალოებს. როგორ მოვექცეთ ასეთ კოლმეურნეობებს? ღირს კი ახლავე მივყიდოთ ტექნიკა თუ არა? ეკონომიური მდგომარეობით მათ არ შეუძლიათ სწრაფად გამოიყიდონ ტექნიკა. მაგრამ მანქანების სწორად გამოყენების შესაძლებლობა მათ აქვთ. ამიტომ მიზანშეწონილია ასეთ კოლმეურნეობებს ტექნიკა მივყიდოთ განვადებით, ორ-სამ წელიწადში, მაგრამ არა უმეტეს ხუთი წლისა ანაზღაურებით. როცა წარმოების საშუალებანი — მიწა, მანქანები, მუშახელი, იქნება ერთ ხელში — კოლმეურნეთა ხელში, მაშინ საშუალო კოლმეურნეობებიც სწრაფად წავლენ აღმავლობის გზით. ისინი გაადიდებენ მოსავლიანობას, გაზრდიან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებას, მიჰყიდიან სახელმწიფოს სულ უფრო მეტ მარცვლეულს, ხორცს, რძეს, კარტოფილს, ბოსტნეულს და ამით წვლილს შეიტანენ მთელი საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების საქმეში.

იბადება კითხვა, როგორ მოვექცეთ ეკონომიურად სუსტ კოლმეურნეობებს? საყოველთაო-სახალხო განხილვის დროს გამოითქვა ცალკეული სურვილები, რომ მათ ტექნიკა გადავცეთ იჯარით ან საკუთრებად, მაგრამ უფასოდ. როგორც უკვე ვთქვი მოხსენებაში არ შეიძლება სწორად მივიჩნიოთ წინადადება, რომ ტექნიკა უფასოდ გადავცეთ საკუთრებად ეკონომიურად სუსტ კოლმეურნეობებს. საქმე მარტო ის კი არ არის, რომ ტექნიკის უფასოდ გადაცემით სახელმწიფოს გარკვეული მატერიალური ზარალი მოუვა. საქმე აგრეთვე ის არის, რომ ტექნიკის უფასოდ გადაცემა ეწინააღმდეგება სახელმწიფოსა და კოლმეურნეობებს შორის სოციალისტური ურთიერთობის პრინციპებს. მას შეიძლება მოჰყვეს მხოლოდ კმაყოფაზე ყოფნის განწყობილების გაძლიერება და წარმოების განვითარებით კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების ძირის გამოთხრა.

მაშ რა გამოსავალია, როგორ მოვექცეთ სუსტ კოლმეურნეობებს? გამოსავალი ის არის, რომ რაც შეიძლება სწრაფად წამოვწიოთ ეს კოლმეურნეობები. პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა უნდა შეისწავლონ, თუ რატომ ჩამორჩება დღემდე ზოგიერთი კოლმეურნეობა. ჩემი შეხედულებით, ეს სუსტი ხელმძღვანელობის, არასაკმაო ორგანიზატორული მუშაობის შედეგია. ასეთ კოლმეურნეობებს ჯერ კიდევ არ აქცევენ ჯეროვან ყურადღებას პარტიის რაიკომები, რაიაღმასკომები და საოლქო ორგანიზაციები, მათ დღემდე ჯერ კიდევ ვერ გადაუწყვეტიათ თავმჯდომარეებისა და ბრიგადირების კადრებით კოლმეურნეობათა განმტკიცების ამოცანა. თუ სუსტ კოლმეურნეობებს მივყიდით ტექნიკას ან თუნდაც მუქთად მივცემთ, აქედან კარგი არაფერი გამოვა. ეკონომიურად სუსტ კოლმეურნეობებს უწინარეს ყოვლისა ორგანიზაციული დახმარება უნდა გავუწიოთ. მთავარია შევარჩიოთ კადრები. ამა თუ იმ მეურნეობის ჩამორჩენა ხომ, როგორც წესი, ხელმძღვანელობის დაბალი დონის შედეგია.

ჩვენში ახლა იმდენი შესანიშნავი ადამიანი გაიზარდა, რომ შეგვიძლია ყოველ კოლმეურნეობაში გავგზავნოთ წარმოების ნიჭიერი ორგანიზატორები არა მარტო თავმჯდომარეებად, არამედ ბრიგადირებადაც. თუ ჩვენ ყველა ჩამორჩენილ კოლმეურნეობას განვამტკიცებთ კარგი გამოცდილი ხელმძღვანელებით, ერთი-ორი წლის შემდეგ ისინი წამოსწევენ თავიანთ წარმოებას, უზრუნველყოფენ ეკონომიკის, საზოგადოებრივი მეურნეობის უფრო მაღალ დონეს. უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა შორის ცოტა როდია კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები და სხვა კოლმეურნეები, რომლებიც ამაში საკუთარი გამოცდილებით დარწმუნდნენ.

კოლმეურნეობათა განმტკიცება კადრებით — აი სწორი და ჯანსაღი გზა, რომლითაც უნდა ვიაროთ, რათა მოწინავეთა დონემდე წამოვწიოთ ჩვენი ქვეყნის ყველა კოლმეურნეობა.

ჩამორჩენილ და საშუალო კოლმეურნეობათა სწრაფი აღმავლობის დიდმნიშვნელოვანი პირობაა აგრეთვე მოწინავე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების გამოცდილების უნარიანი გამოყენება. ჩვენში ახლა ცოტა როდია ფაქტი, როცა ამა თუ იმ რაიონში არის რამდენიმე მოწინავე კოლმეურნეობა და ამავე დროს მათ მეზობლად არიან ჩამორჩენილი კოლმეურნეობები. პირობები ერთნაირია, ხოლო შედეგები სხვადასხვა. ამასთან, ეს რამდენიმე წელს გრძელდება.

არ შეიძლება ითქვას, რომ პარტიის რაიკომები და რაიაღმასკომები არ ეწევიან მოწინავე გამოცდილების პროპაგანდას. ბევრი რაიონის ხელმძღვანელები გამოდიან მოწოდებებით გამოიყენონ მეცნიერებისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეთა მიღწევები. მაგრამ ზოგადი მოწოდებები ვერ შეცვლის მდგომარეობას. საჭიროა ბეჯითი ორგანიზატორული მუშაობა, კონკრეტული დახმარება თვითეული კოლმეურნეობისადმი. საქმის ინტერესები მოითხოვს ახლებურად მოვაწყოთ მოწინავე მეურნეობათა გამოცდილების პროპაგანდა და სხვა კოლმეურნეობათა პრაქტიკაში მისი დანერგვა.

ადამიანები კონკრეტული მაგალითებით უნდა სწავლობდნენ სოფლის მეურნეობის ინტენსიურ გაძღოლას ყველა დარგში: მარცვლეულის, მეცხოველეობის, საკვების მოპოვების დარგში. ამასთან საჭიროა შესწავლა არა საერთოდ გამოცდილებისა, არამედ გარკვეული კოლმეურნეობის, რაიონის კონკრეტული მიღწევებისა, მოწინავე მეურნეობებში გამოყენებულ ღონისძიებათა სისტემისა. თუ საქმე ეხება ოლქს, ოლქის სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკმა უნდა იცოდეს, თუ ამ ოლქის რომელი რაიონის გამოცდილებაა საჩვენებელი სხვა რაიონებისათვის და რა ღონისძიებანი უნდა განხორციელდეს წარმოების გარკვეული დონის მისაღწევად. თუ საქმე ეხება რაიონს, პირდაპირ ყველა კოლმეურნემ უნდა იცოდეს, თუ რომელი კოლმეურნეობის გამოცდილებას ნერგავს რაიონი, რა ვადებში აპირებს რაიონი მიაღწიოს მოწინავე კოლმეურნეობის დონეს და რა უნდა გაკეთდეს ამისათვის.

ამისათვის საჭიროა, რომ უწინარეს ყოვლისა ჩვენმა კადრებმა თვითონ კარგად შეისწავლონ მოწინავე გამოცდილება და შეეძლოთ დაეხმარონ ამა თუ იმ კოლმეურნეობას იმ ღონისძიებათა შემუშავებასა და განხორციელებაში, რომლებსაც მოწინავე კოლმეურნეობები იყენებენ.

ჩვენს ქვეყანაში ათასობით მოწინავე კოლმეურნეობაა. თუ პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები გონივრულად გამოიყენებენ მათს გამოცდილებას, უფრო აქტიურად დანერგავენ მას ყველა კოლმეურნეობაში, ეს განსაკუთრებულ როლს შეასრულებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების უფრო მაღალ საფეხურზე აყვანაში.

ბევრი დეპუტატი თავის გამოსვლებში შეეხო საგაზაფხულო თესვისა და სხვა გადაუდებელ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა განხორციელების საკითხებს. ეს სწორია. ახლა ჩვენი ქვეყნის სამხრეთ ნაწილში გაჩაღებულია მინდვრის სამუშაოები. ეს სამუშაოები მალე სხვა რაიონებშიც დაიწყება. მიზანი, რომელიც პარტიამ დასახა, ნათელია, ხალხს ესმის იგი და ისწრაფვის თავდადებით იმუშაოს, იჩენს რა შრომითს მამაცობას.

სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის ამოცანის გადაწყვეტის დროს მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს მარცვლეულისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებას. მთავარია უზრუნველვყოთ სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპების შემდგომი ზრდა, რათა უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ. ჩვენ შეგვიძლია ამას მივაღწიოთ იმ პირობით, თუ სავსებით გადავჭრით ფურაჟის, საკვების საკითხს.

ამასთან დაკავშირებით დიდი მნიშვნელობა აქვს სიმინდის, კარტოფილის, ჭარხლის, ბალახებისა და სხვა საკვები კულტურების მოსავლიანობის გადიდებას. საკვების ბალანსში წამყვანი ადგილი უნდა დაიკავოს სიმინდმა, კარტოფილმა, შაქრის ჭარხალმა და საკვებმა ჭარხალმა.

უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენში ბევრს ლაპარაკობენ სიმინდზე, მაგრამ ჯერ კიდევ ნაკლები ღონისძიებანი ხორციელდება იმისათვის, რომ დაეუფლონ მოწინავე გამოცდილებას, ამ კულტურის უხვი მოსავლის მოყვანის ხელოვნებას.

სიმინდის უხვი მოსავალი, სიმინდის საკვების საკმარისობა საშუალებას მოგვცემს უზრუნველვყოთ არა მარტო რძის წარმოების შემდგომი ზრდა, არამედ ხორცის წარმოების მნიშვნელოვანი გადიდებაც სიმინდით მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა და ღორის გასუქებით.

თუ ყურადღებით მოვეკიდებით სიმინდის მოყვანას, დავრაზმავთ ძალებს და გამოვიყენებთ არსებულ შესაძლებლობებს, შეიძლება საშუალოდ ჩვენს ქვეყანაში მივიღოთ ჰექტარზე სულ ცოტა 300-400 ცენტნერი სიმინდი.

მინდა ვთქვა აგრეთვე ასეთ საკითხზე. კრებებზე და პრესაში ითქვა და დაიწერა, რომ ახლა კოლმეურნეობები იყიდიან მნიშვნელოვნად ნაკლებ ტექნიკას, ვიდრე ფაქტიურად იყენებდნენ მას, როცა კოლმეურნეობებს მანქანა-ტრაქტორთა სადგურები უწევდნენ მომსახურებას.

ამ საკითხს დიდი ყურადღებით უნდა მივუდგეთ. უდავოა, რომ კოლმეურნეობები უფრო ნაყოფიერად გამოიყენებენ მანქანებს და, ბუნებრივია, მთელ რიგ შემთხვევებში შეიძლება ნაკლები ტექნიკა იყოს საჭირო, და ეს დადებითი ფაქტია.

მაგრამ გამორიცხული არ არის შესაძლებლობა, რომ აღმოჩნდებიან კოლმეურნეობათა არაშორსმჭვრეტელი ხელმძღვანელები, რომლებიც ეცდებიან „დაზოგონ" სახსრები და იყიდონ რაც შეიძლება ნაკლები მანქანები. ასეთი მიდგომა სწორი არ იქნება.

თუ ეკონომიისათვის კოლმეურნეობა იმაზე ნაკლებ მანქანებს იყიდის, რაც მას ნამდვილად ესაჭიროება, ეს გამოიწვევს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა გაჭიანურებას, ამის შედეგად კი შემცირდება მოსავალი და პროდუქტების წარმოება. ასეთმა კოლმეურნეობებმა შეიძლება რამდენჯერმე მეტი დაკარგონ მოსავალზე, ვიდრე დაზოგავენ მანქანების ყიდვაზე.

ამიტომ რაიონული ორგანიზაციები უნდა დაეხმარონ თვითეულ კოლმეურნეობას იმაში, რომ სწორად გამოიანგარიშონ, რამდენი და როგორი მანქანის ყიდვა სჭირდება მას იმისათვის, რომ დროზე განახორციელოს ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაო და მოახდინოს საკოლმეურნეო წარმოების მაქსიმალური მექანიზაცია.

დეპუტატები თავიანთ გამოსვლებში ეხებოდნენ სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის შემდგომი გაუმჯობესების, კერძოდ, რაიონული რგოლის განმტკიცების საკითხებს. მეტმა წილმა ამხანაგებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მიზანშეწონილია რაიაღმასკომებთან შეიქმნას ინსპექტორთა ჯგუფები სოფლის მეურნეობის კვალიფიციური სპეციალისტების შემადგენლობით. როგორც ჩანს, ამ ეტაპზე ეს სწორი იქნება. კოლმეურნეობათა ხელმძღვანელობაში რაიონული ორგანიზაციების როლი ახლა კიდევ უფრო იზრდება. რაიონებში ინსპექტორთა ჯგუფების შექმნა ხელს შეუწყობს იმას, რომ უფრო ღრმად შევისწავლოთ და წარმატებით გადავჭრათ საკოლმეურნეო ცხოვრების საკითხები.

ამ სესიაზე დეპუტატები ლაპარაკობდნენ საზოგადოებრივი მეურნეობის ზრდის პერსპექტივების შესახებ, მათ მხარი დაუჭირეს მოხსენებაში გამოთქმულ დებულებებს კოლმეურნეობებში შემოსავლის განაწილების საკითხებზე, რათა ამასთან უფრო სრულად იქნას გათვალისწინებული განუყოფელი ფონდების განმტკიცების ინტერესები, რითაც დაინტერესებული არიან თვითონ კოლმეურნეები.

კოლმეურნეობის თავმჯდომარემ დეპუტატმა ჩეხოვსკიმ მოიყვანა მაგალითები, რომლებიც გვიჩვენებენ, რომ განუყოფელი ფონდების ზრდის კვალობაზე უმჯობესდება კოლმეურნეთა კეთილდღეობა. განუყოფელი ფონდების სახსრებით კოლმეურნეობა აშენებს საწარმოო და კულტურულ - საყოფაცხოვრებო ნაგებობებს, იძენს მანქანებს. კოლმეურნეობას აქვს საკუთარი 250 კილოვატი სიმძლავრის ელექტროსადგური, მეურნეობაში მუშაობს 110 ელექტრომოტორი, აშენებულია ორი კლუბი, ბიბლიოთეკა, პურის საცხობი, ორი სასადილო მოზრდილთათვის და ერთი ბავშვებისათვის. კოლმეურნეობაში არის სახლი ღრმად მოხუცებული კოლმეურნეებისათვის. კოლმეურნეებმა გადაწყვიტეს გარდაქმნან სოფელი და უკვე ააშენეს 200-ზე მეტი კეთილმოწყობილი აგურის სახლი.

ეს ძალიან კარგი მაგალითია კოლმეურნეობებისათვის, რომლებსაც დიდად განვითარებული საზოგადოებრივი მეურნეობა აქვთ.

ამხანაგო დეპუტატებო! საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის საკითხები ეხება ჩვენი ცხოვრების ბევრ მხარეს. ამიტომ ამ სესიაზე შემოიტანეს ძალიან ბევრი წინადადება. დეპუტატები აყენებდნენ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, სოფლის მეურნეობის დაფინანსების და კოლმეურნეობათა დაკრედიტების, სათადარიგო ნაწილების წარმოებაზე დამატებით მთელ რიგ საწარმოთა გადაყვანის, სასოფლო-სამეურნეო მანქანების ცალკეული ქარხნების პროფილის შეცვლისა და სხვა საკითხებს. საჭიროა, რომ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და შესაბამისმა სამინისტროებმა კარგად შეისწავლონ ყველა ეს საკითხი და წარმოადგინონ საჭირო წინადადებანი მთავრობის განსახილველად.

ამხანაგო დეპუტატებო! ჩვენი საბჭოთა სამშობლო მტკიცედ მიდის წინ დიდი ლენინის მიერ ნაჩვენები გზით, კომუნიზმის გზით. სწრაფად ვითარდება სოციალისტური ინდუსტრია — სახალხო მეურნეობის საფუძველი. მკვეთრი აღმავლობის გზაზეა სოციალისტური სოფლის მეურნეობა. თვალსაჩინო წარმატებანი მოიპოვეს საბჭოთა მეცნიერებამ და კულტურამ. ახლა მთელი მსოფლიო ხედავს, თუ რა დიდი შემოქმედებითი ძალები აღმოაჩინა ხალხში კომუნისტურმა პარტიამ. თავისი მშობლიური კომუნისტური პარტიის მეთაურობით საბჭოთა ხალხმა ჩვენი სამშობლო გადააქცია მოწინავე სოციალისტურ სახელმწიფოდ, რომლის გამარჯვებებით ამაყობს მთელი პროგრესული კაცობრიობა. **(ხანგრძლივი ტაში).**

ჩვენი სახელმწიფო მრავალეროვანი სახელმწიფოა. კომუნისტურმა პარტიამ, რომელიც ხელმძღვანელობს დიდი ლენინის ანდერძით, სსრ კავშირის ხალხები დარაზმა ერთიან ოჯახად, მოძმე ხალხების ოჯახად. ჩვენი ხალხების მეგობრობა ძალის ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი წყაროა კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში. შეიძლება ეჭვი არ ვიქონიოთ, რომ ეს მეგობრობა, რომელმაც გაუძლო უაღრესად მკაცრ განსაცდელს, კიდევ უფრო მტკიცე გახდება. იმ დიადი მიზნით გაერთიანებული, რომ ააშენონ კომუნისტური საზოგადოება, ყველა ჩვენი ხალხი კვლავაც შეიტანს ღირსეულ წვლილს თავისი სამშობლოს ძლიერების განმტკიცების საქმეში. **(ხანგრძლივი ტაში).**

საბჭოთა კავშირი დიდი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან ერთად, სოციალისტური ქვეყნების ყველა ხალხთან ერთად მშვიდობისათვის, ახალი ომის საფრთხისაგან კაცობრიობის ხსნისათვის ბრძოლის ავანგარდშია. ჩვენი ქვეყნის მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკა ყველა ქვეყნის მშრომელთა მხურვალე სიყვარულს იხვეჭს.

უმაღლესი საბჭოს სესიამ ცხადყო პარტიისა და ხალხის მძლავრი ერთიანობა. კანონი „საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ", რომელსაც უმაღლესი საბჭო მიიღებს, დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება კომუნისტური მშენებლობის დიადი გეგმების განხორციელებაში. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში.)**

## სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის კრება

29 მარტს კრემლის დიდ სასახლეში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში, გაიმართა სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის საერთო კრება. კრებას დაესწრო სსრ კავშირის მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს ორივე პალატის დაახლოებით ცხრაასი დეპუტატი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა მოისმინეს და განიხილეს სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის კომიტეტის ანგარიში 1957 წლის მუშაობის შესახებ. მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის თავმჯდომარემ დეპუტატმა ო. ვ. კუუსინენმა.

ანგარიშის განხილვის დროს კამათში გამოსულმა დეპუტატებმა შეიტანეს მთელი რიგი წინადადებანი საპარლამენტო ჯგუფის საქმიანობის შემდგომი განვითარებისათვის. სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის საერთო კრებამ მიიღო რეზოლუცია, რომლითაც ერთსულოვნად მოიწონა სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის კომიტეტის მოღვაწეობა საანგარიშო პერიოდში.

კრებამ აირჩია სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის კომიტეტის ახალი შემადგენლობა. სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის თავმჯდომარედ არჩეულია დეპუტატი ო. ვ. კუუსინენი, თავმჯდომარის მოადგილეებად — დეპუტატები ა. პ. ვოლკოვი და ი. ა. კაიროვი, ჯგუფის მდივნად — დეპუტატი ზ. ა. ლებედევა. დეპუტატები ნ. ა. მიხაილოვი (რუსეთის სფსრ) და ი. ი. პალეცკისი (ლიტვის სსრ) კვლავ აირჩიეს საბჭოთა ჯგუფის წარმომადგენლებად საპარლამენტთაშორისო კავშირის საბჭოში. სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის კომიტეტის წევრებად არჩეული არიან შემდეგი დეპუტატები საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკებიდან: ო. ვ. აბლაზოვა (რუსეთის სფსრ), ლ. ი. ანანიევა (რუსეთის სფსრ), ა. ა. ანდრეევი (რუსეთის სფსრ), ნ. პ. ბაჟანი (უკრაინის სსრ), ე. კ. ბერკლავი (ლატვიის სსრ), ვ. გ. ბლაჟენოვი (რუსეთის სფსრ), ნ. ი. ბობროვნიკოვი (რუსეთის სფსრ), ა. თ. გორკინი (რუსეთის სფსრ), კ. ა. გუბინი (რუსეთის სფსრ), მ. ხ. დავთიანი (სომხეთის სსრ), ლ. ნ. ეფრემოვი (რუსეთის სფსრ), ვ. პ. ზოტოვი (რუსეთის სფსრ), მ. ა. იბრაგიმოვი (აზერბაიჯანის სსრ), ლ. — ფ. ა. ილისონი (ესტონეთის სსრ), კ. კონდუჩალოვა (ყირგიზეთის სსრ), ქ. ბ. ლომთათიძე (საქართველოს სსრ), ა. პ. ლუპანი (მოლდავეთის სსრ), ვ. მუხატოვი (თურქმენეთის სსრ), ზ. ს. ომაროვა (ყაზახეთის სსრ), კ. პ. ორლოვსკი (ბელორუსიის სსრ), კ. გ. პისინი (რუსეთის სფსრ), კ. ი. სატპაევი (ყაზახეთის სსრ), ვ. ე. სემიჩასტნი (რუსეთის სფსრ), მ. ტურსუნ-ზადე (ტაჯიკეთის სსრ), ფ. ხოჯაევი (უზბეკეთის სსრ) და ს. ვ. ჩერვონენკო (უკრაინის სსრ).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სსრ კავშირის მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია

# კ ა ნ ო ნ ი

## საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლეს საბჭოს მიაჩნია, რომ საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის საკითხს, რომელიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განსახილველად შემოიტანეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის.

ამ საკითხის საყოველთაო-სახალხო განხილვამ ცხადყო, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ შემუშავებული ღონისძიებანი ერთსულოვნად მოიწონეს და მხარი დაუჭირეს კოლმეურნე გლეხობამ, მუშათა კლასმა, ინტელიგენციამ, მთელმა საბჭოთა ხალხმა.

ამ უკანასკნელ წლებში საბჭოთა სახელმწიფომ ახალი დიდი წარმატებები მოიპოვა სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში. ამ საფუძველზე მნიშვნელოვნად ამაღლდა მშრომელთა კეთილდღეობის დონე.

კომუნისტური პარტია, რომელიც თანმიმდევრულად ახორციელებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, წარმართავს საბჭოთა ხალხის შემოქმედებითს ინიციატივასა და ენერგიას ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის უმნიშვნელოვანესი ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის.

სახალხო მეურნეობის წარმატებათა უზრუნველყოფაში გადამწყვეტი როლი ეკუთვნის სოციალისტურ მრეწველობას და უწინარეს ყოვლისა მძიმე ინდუსტრიას, რომელიც საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების და ხალხის ცხოვრების დონის განუხრელი ამაღლების საფუძველია.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნა, რაც დემოკრატიული ცენტრალიზმის ლენინური პრინციპის შესაბამისად განხორციელდა, ხელს უწყობს სოციალისტური ეკონომიკის შემდგომ სწრაფ განვითარებას. ამის შედეგად მრეწველობა უფრო მაღალ დონეზე მუშაობს, უფრო სრულად იყენებს რეზერვებს.

წარმატებით ვითარდება სოციალისტური სოფლის მეურნეობა. ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საფუძველზე, ლენინური კოოპერაციული გეგმის განხორციელების შედეგად საბჭოთა კავშირში შეიქმნა მსხვილი სოციალისტური სასოფლო-სამეურნეო წარმოება, რომელიც აღჭურვილია მოწინავე ტექნიკით. ჩვენს ქვეყანაში საკოლმეურნეო წყობილების შექმნა და განმტკიცება საბჭოთა ხალხის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებაა. საკოლმეურნეო წყობილება გაიზარდა სოციალიზმის მძლავრ ძალად, მან შექმნა სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალების უმაგალითო ზრდის, საბჭოთა გლეხობის კეთილდღეობისა და კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლების შესაძლებლობანი.

სოფლის სოციალისტური გარდაქმნისათვის ბრძოლაში, საკოლმეურნეო წყობილების შექმნასა და განმტკიცებაში, მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განმტკიცებაში უდიდესი როლი შეასრულეს მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა. საბჭოთა სახელმწიფოს ხელში მანქანა-ტრაქტორთა სადგურები იყო ის დიდი პოლიტიკური და მაორგანიზებელი ძალა, რომლის საშუალებით გლეხები ერთიანდებოდნენ კოლმეურნეობებში და რწმუნდებოდნენ მსხვილი მექანიზებული სოციალისტური სოფლის მეურნეობის უპირატესობაში. მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მეშვეობით ხორციელდებოდა ტექნიკური პროგრესი სოფლის მეურნეობაში და მისი ხელახლა შეიარაღება ახალი ტექნიკის ბაზაზე, მექანიზატორთა კვალიფიციური კადრების მომზადება, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის კულტურის ამაღლება. მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში აღიზარდა მექანიზატორების — ტრაქტორისტების, კომბაინერების, სატრაქტორო ბრიგადების ბრიგადირები, შოფრების, რემონტისა და სხვა მუშების უდიდესი არმია, რომლებიც დაუფლებული არიან ტექნიკას და შრომის ინდუსტრიულ კულტურას. ამ კადრებს დიდი დამსახურება აქვთ სოციალისტური სოფლის მეურნეობის მშენებლობაში.

სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლამ, რაც გაჩაღდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრის პლენუმის შემდეგ, გამოიწვია მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მნიშვნელოვანი გადიდება, აღნიშნა საკოლმეურნეო წყობილების განვითარების ახალი ეტაპის დასაწყისი. კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობა ამჟამად თავისი განვითარების უფრო მაღალ საფეხურზეა. საკოლმეურნეო წყობილების განვითარების ახალ ეტაპს ის ახასიათებს, რომ გამსხვილებული კოლმეურნეობანი უკანასკნელ წლებში სახელმწიფოს მხრივ დიდი დახმარებით გახდნენ ეკონომიურად უფრო ღონიერი, მრავალდარგოვანი, ტექნიკურად აღჭურვილი მეურნეობანი, რომლებსაც ჰყავთ მემინდვრეთა, მეცხოველეთა, მექანიზატორთა, აგრონომთა, ზოოტექნიკოსთა და სხვა სპეციალისტთა მრავალრიცხოვანი კვალიფიციური კადრები; გაიზარდა კოლმეურნეობათა შემოსავალი, გაუმჯობესდა კოლმეურნეთა მატერიალური კეთილდღეობა.

კოლმეურნეობებისათვის მსხვილი სოციალისტური მეურნეობის გაძღოლის კარგი სკოლა იყო საბჭოთა მეურნეობები — სახელმწიფო საწარმოები, სადაც არის წარმოების ორგანიზაციის უფრო მაღალი დონე. ამ უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა მათი ხვედრითი წონა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებასა და ამ პროდუქტებით ჩვენი ქვეყნის უზრუნველყოფაში.

საბჭოთა მეურნეობები კვლავაც უნდა იყონ წარმოების უფრო სრულყოფილი მეთოდების, მიწათმოქმედების მაღალი კულტურის მაგალითი კოლმეურნეობებისათვის, ნიმუში უნდა იყონ შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის ბრძოლაში.

თანამედროვე პირობებში, როცა კოლმეურნეობათა მეტი ნაწილი ორგანიზაციულ-მეურნეობრივად განმტკიცდა, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მეშვეობით კოლმეურნეობათა საწარმოო-ტექნიკური მომსახურების არსებული ფორმა აღარ შეესაბამება სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალების შემდგომი განვითარების ამოცანებს. უფრო მეტიც, ეს ფორმა ბევრ შემთხვევაში აფერხებს მოწინავე კოლმეურნეობათა შემდგომ აღმავლობას, ბოჭავს კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა ინიციატივას საკოლმეურნეო წარმოების რეზერვების უკეთ გამოყენების საქმეში. სულ უფრო მეტად იჩენს თავს იმ მდგომარეობის უარყოფითი შედეგები, როცა ერთსა და იმავე მიწაზე მეურნეობას უძღვება ორი სოციალისტური საწარმო — კოლმეურნეობა და მანქანა-ტრაქტორთა სადგური, რაც წარმოშობს გაუპიროვნებას წარმოების ორგანიზაციასა და ტექნიკის გამოყენებაში, ამცირებს როგორც კოლმეურნეობის, ისე მანქანა-ტრაქტორთა სადგურის პასუხისმგებლობას მოსავლიანობის გადიდებისათვის, იწვევს დიდ და ზედმეტ ხარჯებს.

ყოველივე ეს დაბეჯითებით მოითხოვს კოლმეურნეობათა საწარმოო-ტექნიკური მომსახურების არსებული წესის შეცვლას, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების სარემონტო-ტექნიკურ სადგურებად რეორგანიზაციის თანდათანობით განხორციელებას და კოლმეურნეობებისათვის სასოფლო-სამეურნეო მანქანების მიყიდვის შემოღებას. ამ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობა ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე ავა. კიდევ უფრო განმტკიცდება კოლმეურნეობათა ეკონომიკა, გაიზრდება მათი განუყოფელი ფონდები, უფრო სრულყოფილი გახდება წარმოების ორგანიზაცია, გაუმჯობესდება კოლმეურნეთა მატერიალური კეთილდღეობა.

სარემონტო-ტექნიკურმა სადგურებმა უნდა უზრუნველყონ ტრაქტორებისა და სხვა მანქანების შეკეთება, კოლმეურნეობათა ტექნიკური მომსახურება, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის ახალი ტექნიკის, სათადარიგო ნაწილების, საწვავისა და საწარმოო დანიშნულების სხვა საქონლის მიყიდვა, კოლმეურნეობებში სპეციალიზებულ სამუშაოთა შესრულება, იმ მანქანების გაქირავების ორგანიზაცია, რომლებიც კოლმეურნეობებს არ მოეპოვებათ, საკოლმეურნეო წარმოებაში ახალი ტექნიკის, მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვა მანქანა-ტრაქტორთა პარკის მოვლა-შენახვისა და გამოყენების დარგში, აგრეთვე კოლმეურნეობებისათვის მექანიზატორთა კადრების კვალიფიკაციის ამაღლებაში დახმარების გაწევა. იმ რაიონებში, სადაც ჯერ კიდევ ყველა კოლმეურნეობას არა აქვს შესაძლებლობა შეიძინოს ტრაქტორები და სხვა მანქანები, ხოლო რაც მთავარია, არ შეუძლია სწორად გამოიყენოს ეს ტექნიკა, დროებით უნდა დარჩეს ასეთ კოლმეურნეობათა საწარმოო-ტექნიკური მომსახურება მანქანა-ტრაქტორთა სადგურის ან სარემონტო-ტექნიკური სადგურის მეშვეობით.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციამ, ისევე როგორც მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნამ უნდა უზრუნველყოს მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობათა და წარმოების რეზერვების მაქსიმალური გამოყენება, მასების შემოქმედებითი ინიციატივისა და აქტივობის შემდგომი განვითარება. იგი დააჩქარებს საბჭოთა საზოგადოების ძლევამოსილ წინსვლას კომუნიზმის გზით. სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის შემდეგ, რომელიც შესრულდა გენიალური ლენინური კოოპერაციული გეგმის საფუძველზე, ამ ღონისძიებათა განხორციელება ახალი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და დიდი ნაბიჯი იქნება სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარებაში.

ღონისძიებანი საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის დარგში წარმოადგენენ სახალხო მეურნეობის მართვის სრულყოფისა და ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისათვის იმ მუშაობის შემადგენელ ნაწილს, რომელსაც ახორციელებს კომუნისტური პარტია.

საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მთელი სოციალისტური სოფლის მეურნეობის აღმავლობის მიზნით საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

**მუხლი 1.** მოწონებულ იქნას საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის ღონისძიებანი, რომლებიც შეიმუშავეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და რომლებმაც საყოველთაო მხარდაჭერა ჰპოვეს საყოველთაო-სახალხო განხილვის მსვლელობაში.

**მუხლი 2.** ამჟამად კოლმეურნეობათა ეკონომიური და ორგანიზაციული განვითარების მიღწეული დონის გათვალისწინებით, საჭიროდ იქნას მიჩნეული მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაცია სარემონტო-ტექნიკურ სადგურებად. მანქანა-ტრაქტორთა სადგურების კუთვნილი ტრაქტორები, კომბაინები და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანები მიეყიდოს კოლმეურნეობებს, რომლებიც სურვილს გამოთქვამენ შეიძინონ ეს ტექნიკა. კოლმეურნეობებს, რომლებსაც შესაძლებლობა არა აქვთ ერთბაშად გადაიხადონ მათ მიერ ნაყიდი ტრაქტორებისა და მანქანების ღირებულება, მიეცეთ განვადება მათი ეკონომიური მდგომარეობის მიხედვით.

1958 წლიდან კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მიეყიდოთ ახალი ტრაქტორები, კომბაინები და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანები.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაცია უნდა განხორციელდეს თანდათანობით ცალკეული კოლმეურნეობების ეკონომიკის განვითარებისა და საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ზონისა და რაიონის თავისებურებათა გათვალისწინებით იმ ვადებში, რომლებსაც დაადგენენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები.

**მუხლი 3.** დაეკისროს სარემონტო-ტექნიკურ სადგურებს შემდეგი ძირითადი ამოცანების შესრულება: ტრაქტორებისა და სხვა მანქანების რემონტი, კოლმეურნეობათა ტექნიკური მომსახურება, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის ახალი ტექნიკის, სათადარიგო ნაწილების, ნავთობპროდუქტების, სასუქების, შხამქიმიკატებისა და საწარმოო დანიშნულების სხვა საქონლის მიყიდვა, იმ მანქანების გაქირავების მოწყობა, რომლებიც კოლმეურნეობებს არა აქვთ, კოლმეურნეობებთან ხელშეკრულებებით ცალკეულ სახეობათა სპეციალიზებული და სხვა სამუშაოების შესრულება, დახმარების გაწევა კოლმეურნეობებისათვის საკოლმეურნეო წარმოებაში ახალი ტექნიკის, მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დასანერგავად მანქანა-ტრაქტორთა პარკის შენახვისა და გამოყენების დარგში, აგრეთვე მექანიზატორთა კადრების კვალიფიკაციის ამაღლებაში.

სარემონტო-ტექნიკური სადგურების საქმიანობა ხორციელდება სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე.

**მუხლი 4.** დებულებას სარემონტო-ტექნიკური სადგურების შესახებ და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის მანქანების, სათადარიგო ნაწილების, საწვავისა და სხვა საწარმოო საქონლის მიყიდვის პირობებს ამტკიცებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

**მუხლი 5.** დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს განიხილოს კოლმეურნეობათა საწარმოო ხარჯების დაკრედიტების გაფართოების საკითხი, რათა კოლმეურნეობებს შეექმნათ საჭირო პირობები წარმოების გაძღოლისა და მათი საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის.

**მუხლი 6.** მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციასთან დაკავშირებით დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს განიხილოს საკითხი კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების მოქმედ წესსა და პირობებში ცვლილებების შეტანის შესახებ, ამასთან მხედველობაში იქონიოს სახელმწიფოს უზრუნველყოფა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების საჭირო რაოდენობით.

**მუხლი 7.** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ უზრუნველყოს სოფლის მეურნეობის იმ მექანიზატორთა და სპეციალისტთა სწორად გამოყენება, რომლებიც კოლმეურნეობებში სამუშაოდ გადადიან მანქანა-ტრაქტორთა სადგურებიდან, ამასთან გამოიჩინოს საჭირო ყურადღება და ზრუნვა მათი მატერიალური უზრუნველყოფისათვის.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი
1958 წ. 31 მარტი.

# სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება

## საბჭოთა კავშირის მიერ ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის ცალმხრივი შეწყვეტის საკითხზე

ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხს წლითიწლობით, ყოველ თვე სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება ხალხთა მშვიდობისა და კეთილდღეობის საქმისათვის.

ამჟამად გამოცდის შეწყვეტას მოითხოვს დედამიწის მოსახლეობის დიდი უმრავლესობა. მიუხედავად იმისა, რომ უკვე მრავალი წლის მანძილზე ხალხები მტკიცედ ცდილობენ ამ გამოცდის შეწყვეტას, მისი წარმოება გრძელდება, რაც იწვევს სულ ახალ და ახალ სახეობათა მომაკვდინებელი ატომგულის იარაღის შექმნას, ზრდის რადიაქტიური ელემენტების კონცენტრაციას ჰაერსა და ნიადაგში, წამლავს ადამიანების ორგანიზმს და საფრთხეს უქმნის მომავალ თაობათა ნორმალურ განვითარებას.

საბჭოთა კავშირი მტკიცედ და თანმიმდევრულად ახორციელებდა ღონისძიებებს, რათა შეთანხმებოდა ატომური და წყალბადის იარაღის მფლობელ სახელმწიფოებს ატომგულის გამოცდის წარმოების დაუყოვნებლივი და უთუო შეწყვეტის შესახებ. ამ მიზნით სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს და საბჭოთა მთავრობას უკანასკნელ წლებში არაერთხელ წამოუყენებიათ კონკრეტული წინადადებანი გამოცდის შეწყვეტის შესახებ, რომელთა ბაზაზე დიდი ხანია შეიძლებოდა ამ საკითხზე შეთანხმების მიღწევა:

შეერთებული შტატების კონგრესისა და დიდი ბრიტანეთის პარლამენტისადმი 1957 წლის 10 მაისის მიმართვაში სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მოუწოდა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესსა და დიდი ბრიტანეთის პარლამენტს ხელი შეეწყოთ სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობათა შორის ატომური და წყალბადის ბომბების საცდელ აფეთქებათა დაუყოვნებლივ შეწყვეტის შესახებ შეთანხმების მიღწევისათვის.

თავის უკანასკნელ სესიაზე გასული წლის დეკემბერში სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ, გამოხატა რა საბჭოთა ხალხის განუხრელი ნება და ერთსულოვანი მისწრაფება მშვიდობისადმი, შეიტანა წინადადება, რომ სსრ კავშირს, დიდ ბრიტანეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს ეკისრათ ვალდებულება — 1958 წლის 1 იანვრიდან შეეწყვიტათ ატომური და წყალბადის იარაღის ყველა გამოცდა.

მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთი არ გამოეხმაურნენ საბჭოთა კავშირის ყველა ამ წინადადებას. ამის გამო დედამიწის ხან ერთ, ხან მეორე ნაწილში კვლავ გრძელდება ატომური და წყალბადის ბომბების გამოსაცდელი აფეთქებანი, რაც მოწმობს მასობრივი მოსპობის იარაღის კიდევ უფრო საშიშ სახეობათა შექმნის დარგში მეტოქეობის შემდგომ გაძლიერებას.

ხელმძღვანელობს რა მისწრაფებით, რომ პრაქტიკული დასაბამი მიეცეს ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის ყველგან შეწყვეტას და ამით გადაიდგას პირველი ნაბიჯი გამანადგურებელი ატომური ომის საფრთხისაგან კაცობრიობის საბოლოო ხსნის მიმართულებით, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

**1. შეწყდეს საბჭოთა კავშირში ყველა სახეობის ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის წარმოება.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო მოელის, რომ ატომური და წყალბადის იარაღის მქონე სხვა სახელმწიფოთა პარლამენტები თავის მხრივ ყველაფერს გააკეთებენ, რაც კი საჭიროა, რათა ამ სახეობათა იარაღის გამოსაცდელი აფეთქებანი ამ ქვეყნებმაც შეწყვიტონ.

**2. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიიღოს საჭირო ღონისძიებანი ამ დადგენილების 1 პუნქტის განსახორციელებლად და მოუწოდოს ატომური და წყალბადის იარაღის მქონე სხვა სახელმწიფოთა მთავრობებს — განახორციელონ ანალოგიური ღონისძიებანი, რათა უზრუნველყოფილ იქნას ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტა ყველგან და სამარადისოდ.**

იმ შემთხვევაში, თუ ატომური და წყალბადის იარაღის მქონე სხვა სახელმწიფოებმა განაგრძეს ამ იარაღის გამოცდა, სსრ კავშირის მთავრობა, რა თქმა უნდა, თავისუფლად იმოქმედებს საბჭოთა კავშირის მიერ ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის წარმოების საკითხში ზემოხსენებულ გარემოებათა მიხედვით, მხედველობაში ექნება რა საბჭოთა კავშირის უშიშროების ინტერესები.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო გულწრფელად იმედოვნებს, რომ საბჭოთა კავშირის ინიციატივას ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტის საქმეში სათანადოდ დაუჭერენ მხარს სხვა სახელმწიფოთა პარლამენტები.

სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს მტკიცედ სწამს, რომ თუ საბჭოთა კავშირის გადაწყვეტილების პასუხად ატომგულის იარაღის მქონე სხვა სახელმწიფოები თავის მხრივაც შეწყვეტენ ასეთი იარაღის გამოცდას, ამით დიდმნიშვნელოვანი პრაქტიკული ნაბიჯი გადაიდგმება წინ მშვიდობისა და ყველა ხალხის უშიშროების განმტკიცების გზაზე. ამ ნაბიჯს, უეჭველია, დიდი მნიშვნელობა ექნება მთელი საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღებისათვის, ხელს შეუწყობს კაცობრიობის განთავისუფლებას მშვიდობის ბედისათვის, ადამიანების მომავალ თაობათა ბედისათვის მძიმე შეშფოთებისაგან.

**საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო**

მოსკოვი, კრემლი 1958 წ. 31 მარტი.

## ე რ ო ვ ნ ე ბ ა თ ა ს ა ბ ჭ ო შ ი

ეროვნებათა საბჭოს 31 მარტის სხდომას თავმჯდომარეობდა ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი ი. ვ. პეივე. მთავრობის ლოჟებში არიან ამხანაგები: ნ. ა. ბულგანინი, ო. ვ. კუუსინენი, ა. ი. მიქოიანი, ნ. ა. მუხიტდინოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. მ. შვერნიკი, დ. ს. კოროტჩენკო, ა. ნ. კოსიგინი, რომლებსაც დეპუტატები და სტუმრები ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

გამოდის დეპუტატი ა. ფ. დიორდიცა (მოლდავეთის სსრ). გააკეთა რა განცხადება, რომ რესპუბლიკის მშრომელები მხურვალედ იწონებენ პარტიის ღონისძიებებს კოლმეურნეობათა შემდგომი სწრაფი აღმავლობისათვის, მან შეიტანა მთელი რიგი წინადადებანი.

იმის შესახებ, რომ საჭიროა უახლესი მოწყობილობით აღიჭურვოს სარემონტო-ტექნიკური სადგურები, ილაპარაკა დეპუტატმა დ. ე. პიონტმა (ყირგიზეთის სსრ).

დეპუტატმა ა. ა. ნიკონოვმა (ლატვიის სსრ) თქვა, რომ რესპუბლიკის კოლმეურნეობათა ორმა მესამედმა გადაწყვიტა შეიძინოს მტს-ებისაგან მანქანები ჯერ კიდევ საგაზაფხულო თესვამდე.

დეპუტატი გ. ხ. დავთიანი (სომხეთის სსრ), ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, დაწვრილებით შეეხო სოფლის მეურნეობის სპეციალისტების როლს.

კამათში გამოვიდნენ აგრეთვე დეპუტატები ხ. ნაზაროვი (ტაჯიკეთის სსრ), ე. ს. კროტკოვი (რუსეთის სფსრ), ე. ა. კერბისი (ესტონეთის სსრ), ე. ა. აფანასენკო (რუსეთის სფსრ), ჯ. დ. კარაევი (თურქმენეთის სსრ), ს. გ. ბატიევი (თათრეთის ასსრ), პ. ვ. ურაევი (ბაშკირეთის ასსრ).

ამით დამთავრდა ეროვნებათა საბჭოში განხილვა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებისა „საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ“.

## კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომა

31 მარტს ნაშუადღევის სამ საათზე კრემლის დიდ სასახლეში გაიხსნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომა. დარბაზში ბევრი სტუმარია. მათ შორის არიან მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ნოვატორები, კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეები, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის წარმომადგენლები. სავსეა დიპლომატიური კორპუსის, საბჭოთა და უცხოეთის პრესის ლოჟები.

თავმჯდომარის მაგიდას უსხედან კავშირის საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი პ. პ. ლობანოვი, ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი ი. ვ. პეივე, პალატების თავმჯდომარეთა მოადგილეები.

ლოჟებში არიან ამხანაგები ა. ბ. არისტოვი, ნ. ი. ბელიაევი, ლ. ი. ბრეჟნევი, ნ. ა. ბულგანინი, კ. ე. ვოროშილოვი, ნ. გ. იგნატოვი, ა. ი. კირიჩენკო, ფ. რ. კოზლოვი, ო. ვ. კუუსინენი, ა. ი. მიქოიანი, ნ. ა. მუხიტდინოვი, მ. ა. სუსლოვი, ე. ა. ფურცევა, ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. მ. შვერნიკი, პ. ნ. პოსპელოვი, დ. ს. კოროტჩენკო, ი. ე. კალნბერზინი, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, კ. ტ. მაზუროვი, ვ. პ. მჟავანაძე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები. დეპუტატები და სტუმრები მქუხარე ტაშით შეხვდნენ მათ.

საბოლოო სიტყვა საკითხზე „საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ“ წარმოთქვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა.

ორივე პალატის საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიების სახელით კავშირის საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა დ. ს. პოლიანსკიმ დეპუტატების განსახილველად წარადგინა პროექტი კანონისა საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ. უმაღლესმა საბჭომ ერთხმად მიიღო ეს კანონი.

შემდეგ სესია შეუდგა დღის წესრიგის შემდეგი საკითხის განხილვას — სსრ კავშირის მთავრობის შექმნას.

სიტყვა ეძლევა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს დეპუტატ ნ. ს. ხრუშჩოვს. მას სესიის დასამტკიცებლად შეაქვს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შემადგენლობა, რომელიც მოიწონა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა. უმაღლესი საბჭო ერთხმად ამტკიცებს სსრ კავშირის მთავრობას — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს.

სესია განიხილავს საკითხს ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ. საბჭოთა მთავრობის სახელით ამ საკითხზე განცხადება გააკეთა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა დეპუტატმა ა. ა. გრომიკომ.

იშლება კამათი განსახილველ საკითხზე.

კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიების დავალებით დეპუტატ ვ. ვ. გრიშინს შეაქვს წინადადება მიღებულ იქნას უმაღლესი საბჭოს დადგენილება ცალმხრივი წესით ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ.

აღნიშნული კომისიების სახელით ამხ. გრიშინს შეაქვს წინადადება აგრეთვე მიღებულ იქნას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიმართვა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესისადმი, დიდი ბრიტანეთის პარლამენტისა და სხვა ქვეყნების პარლამენტებისადმი ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ.

დეპუტატი ზ. რახიმბაბაევა (უზბეკეთის სსრ) ამბობს, რომ შეიძლება ეჭვი არ ვიქონიოთ, რომ საბჭოთა კავშირის ისტორიულ ნაბიჯს მხარს დაუჭერს ყველა ხალხი. კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიების დავალებით ამხ. რახიმბაბაევამ გამოაქვეყნა პროექტი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიმართვისა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბუნდესტაგისადმი. შემდეგ დეპუტატმა გამოაქვეყნა პროექტი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებისა, რომელშიც კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარეებს ევალებათ მიმართონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სახელით ანტიჰიტლერული კოალიციის მონაწილე სახელმწიფოებისა და მეორე მსოფლიო ომის წლებში ჰიტლერული აგრესიისაგან დაზარალებული ქვეყნების პარლამენტებს და მოუწოდონ მათ გააერთიანონ ღონისძიებანი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ატომური და რაკეტული შეიარაღების თავიდან აცილების მიზნით.

კამათში გამოვიდნენ აგრეთვე დეპუტატები ნ. ი. პერშინი (ლენინგრადი), ი. ვ. კურჩატოვი (მოსკოვი), გ. ე. ბურკაცკაია (ჩერკასის ოლქი), ლ. მ. ლეონოვი (რუსეთის სფსრ).

უმაღლესმა საბჭომ ერთხმად მიიღო დადგენილება საბჭოთა კავშირის მიერ ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის ცალმხრივი შეწყვეტის შესახებ. შემდეგ იღებენ მიმართვას ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესისადმი ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხზე. ანალოგიურ მიმართვებს იღებენ აგრეთვე დიდი ბრიტანეთის პარლამენტისადმი, მსოფლიოს ყველა ქვეყნის პარლამენტებისადმი. მიღებულია მიმართვა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბუნდესტაგისადმი.

სესია შემდეგ იღებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებას — დაევალოს კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარეებს მიმართონ ანტიჰიტლერული კოალიციის მონაწილე სახელმწიფოებისა და მეორე მსოფლიო ომის წლებში ჰიტლერული აგრესიისაგან დაზარალებული ქვეყნების პარლამენტებს და მოუწოდონ, გააერთიანონ ღონისძიებანი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ატომური და რაკეტული შეიარაღების თავიდან აცილების მიზნით.

დღის წესრიგი ამოწურულია. სსრ კავშირის მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია დახურულად ცხადდება. (საკდეს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სსრ კავშირის მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია

# სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს განცხადება

ამხანაგო დეპუტატებო!

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ სსრ კავშირის მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის განსახილველად შემოიტანა საკითხი „ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ". მე დავალებული მაქვს გაგაცნოთ მოსაზრებანი, რომლებითაც ამასთან ხელმძღვანელობს საბჭოთა მთავრობა.

თქვენ იცით, რომ საბჭოთა კავშირი მუდამ მოითხოვს ატომგულის იარაღის გამოცდის სრულ და უთუო შეწყვეტას. ჩვენი ქვეყანა უკვე რამდენიმე წელიწადია მოუწოდებს ამერიკის შეერთებულ შტატებს, დიდ ბრიტანეთს დაიდოს შეთანხმება ამ საკითხზე. მაგრამ, სამწუხაროდ, დღემდე საბჭოთა კავშირი ერთადერთია ატომური და წყალბადის იარაღის მქონე სახელმწიფოებს შორის, რომელიც მზად არის დაუყოვნებლივ მოაწეროს ხელი შეთანხმებას, რაც ბოლოს მოუღებდა ატომური და წყალბადის ბომბების ექსპერიმენტულ აფეთქებებს. საბჭოთა მთავრობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ასეთი შეთანხმების მიღწევას, რამდენადაც ატომგულის იარაღის წარმოებული გამოცდა ეხება როგორც საბჭოთა ადამიანების, ისე ყოველი ადამიანის სასიცოცხლო ინტერესებს, რომელ ქვეყანაშიც, მსოფლიოს რომელ ნაწილშიც უნდა ცხოვრობდეს იგი.

ჩვენ, რა თქმა უნდა, ვითვალისწინებთ, რომ გამოცდის შეწყვეტა ჯერ კიდევ არ ნიშნავს ატომური ომის საფრთხის სრულ მოსპობას. ამიტომ, მოვითხოვთ რა გამოსაცდელ აფეთქებათა შეწყვეტას, ამავე დროს გარკვევით ვაცხადებთ, რომ ჩვენს მთავარ მიზნად მიგვაჩნია შევუთანხმდეთ სხვა სახელმწიფოებს ყველა სახეობის ატომური და წყალბადის იარაღის უთუო აკრძალვის, მისი წარმოების შეწყვეტისა და ამ იარაღის არსებული მარაგის სრული მოსპობის შესახებ შესაბამისი კონტროლის შემოღებით. მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობები ჯერ კიდევ არ იჩენენ მზადყოფნას დაეთანხმონ ამას, თუმცა ატომგულის იარაღის შემქმნელი სამი სახელმწიფოს ასეთ ნაბიჯს, ეჭვი არ არის, მადლობით შეხვდებოდა მთელი კაცობრიობა. რამდენადაც ჯერჯერობით არ ხერხდება შეთანხმება ატომგულის იარაღის აკრძალვისა და ლიკვიდაციის შესახებ, სსრ კავშირის მთავრობას გამოსავლად მიაჩნია ის, რომ მიღებულ იქნას შესაბამისი ნაწილობრივი ღონისძიებანი, რომლებიც მეტად თუ ნაკლებად ხელს შეუწყობენ ადამიანთა განთავისუფლებას ახლანდელი გამალებული ატომური შეიარაღების დამღუპველი შედეგებისაგან. პირველი რიგის ღონისძიებად ამ მიმართულებით მას მიაჩნია სწორედ ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტა.

ამ სახეობათა იარაღის ექსპერიმენტულ აფეთქებათა შეწყვეტის ამოცანა ტექნიკური ხასიათის რაღაც ვიწრო პრობლემა როდია. ეს არის პრობლემა, რომელსაც დიდი პოლიტიკური და მორალური საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს. ყოველ თვეს, ყოველ კვირას, სანამ ჭიანურდება ამ პრობლემის გადაწყვეტა, მშვიდობის ინტერესების საზიანოდ იყენებენ ის ძალები, რომლებსაც სურთ, რომ ხალხები უფრო ღრმად ჩაეფლონ ატომური ომისათვის მზადების ჭაობში.

რისთვის ხდება ატომური ბომბების, წყალბადის ბომბებისა და სხვა სახეობათა ატომგულის იარაღის გამოცდა? პასუხი შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი, და ეს არავის არ მიაჩნია საიდუმლოებად: ამ აფეთქებათა დანიშნულება და აზრია მასობრივი მოსპობის ახალ, სულ უფრო დამანგრეველ და მომაკვდინებელ სახეობათა იარაღის შემუშავება და არც თუ უკანასკნელ რიგში იმის შესწავლა, თუ რა პირობებში უნდა იქნას გამოყენებული ეს იარაღი ომის ვითარებაში. მაგრამ ამით განუწყვეტლივ იზრდება საფრთხე კაცობრიობისათვის, — რაკეტულ-ატომური ომის წარმოშობის საფრთხე.

ვისთვის არ არის ნათელი, რომ თუ ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდას საზღვარი არ დაედო, არც იმის იმედი შეიძლება ვიქონიოთ, რომ შევაჩერებთ შემდგომ გამალებულ ატომურ შეიარაღებას. ეს ხომ ფაქტია, რომ საკმარისია ერთმა მხარემ მოაწყოს საცდელ აფეთქებათა სერია, რომ ამან წააქეზოს მეორე მხარე, რომელიც იჩქარის იმითვე უპასუხოს, რათა არ ჩამორჩეს. არც ამის დავიწყება შეიძლება.

ცნობილია, რომ, ცდილობენ რა გამოძებნონ ატომგულის გამოცდის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებაზე უარისთქმის საბაბი, ამერიკის შეერთებული შტატების პასუხისმგებელ ინსტანციებში ამ უკანასკნელ ხანს ამტკიცებენ, თითქოს ასეთი გამოცდის მიზანი იყოს რაღაც „სუფთა" ატომური ბომბების შექმნა, რომლებსაც შემცირებული რადიაქტივობა აქვთ. ამ „სუფთა" ბომბების გათვალისწინებულ თვისებებს ისე მგრძნობიარედ აქებენ ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომ შეიძლება კაცმა იფიქროს, თითქოს საქმე ეხებოდეს ისეთ საშუალებებს, რომლებიც გათვალისწინებულია კაცობრიობის აყვავებისათვის, და არა ადამიანთა მასობრივი მოსპობის საშუალებებს.

ამ მტკიცებათა ავტორების სინდისს ვანდობთ საკითხს, არის თუ არა საფუძველი ვიფიქროთ, რომ ადამიანებისათვის უფრო სასიამოვნო იქნება დაიხოცონ „სუფთა" წყალბადის ბომბით, თუ ასეთის შექმნა მოხერხდა, ვიდრე „უსუფთაო" ბომბით, და საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ მოჩმახული მსჯელობა „სუფთა" ატომგულის იარაღზე გათვალისწინებულია იმისათვის, რომ ყურადღება ჩამოაშორონ მთავარს. როგორც სამართლიანად არის აღნიშნული განცხადებაში, რომელიც თვალსაჩინო ამერიკელ მეატომე მეცნიერთა ჯგუფმა გამოაქვეყნა, მსოფლიომ ახლა უნდა გააკეთოს არჩევანი არა „სუფთა" თუ „უსუფთაო" წყალბადის ბომბებს შორის, არამედ ატომურ ომსა და მშვიდობას შორის, რომელიც თავისუფალია ატომგულის იარაღის საშინელებათაგან. ამჟამად სწორედ ასე დგას საკითხი.

ამბობენ, რომ ატომგულის გამოცდის შეწყვეტა გაართულებს დასავლეთის ქვეყნების იმ პოლიტიკოსთა მდგომარეობას, რომლებიც, ეთამაშებიან რა ცეცხლს, იმედს ამყარებენ ატომური და წყალბადის ბომბების გამოყენების საფრთხეზე და ამ იარაღს მიაკუთვნებენ კეთილხმოვანი, მაგრამ ყალბსაფუძვლიანი სახელწოდება „შემაკავებელი საშუალებისა". ეს პოლიტიკოსები ცდილობენ ჩააგონონ ხალხებს აზრი, თითქოს ასეთი ბომბები მათს ხელში ლამის მშვიდობის ყველაზე საიმედო გარანტიაც კი იყოს. ისინი ემსგავსებიან ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილ პრეზიდენტს ტრუმენს, რომელიც იცავდა „ძალის პოზიციის" აგრესიულ პოლიტიკას და ცდილობდა უკანა რიცხვით გაემართლებინა თავისი ბრძანება, რომ ატომური ბომბები ჩამოეგდოთ იაპონიის ქალაქებში ჰიროსიმასა და ნაგასაკიში და რომელმაც ამას წინათ განაცხადა, თითქოს ეს აქტი „გადაუდებელი და აუცილებელი ყოფილიყოს როგორც იაპონიის, ისე მოკავშირეთა მომავალი კეთილდღეობისათვის". მაგრამ ასეთი მსჯელობიდან მარტო ერთი ნაბიჯია იქამდე, რომ საერთოდ მივაწეროთ „კეთილმყოფელი" თვისებანი ატომურ და წყალბადის ბომბებს. როგორც ძნელი მისახვედრი არ არის, ეს იმისათვის ხდება, რომ შეაჩვიონ ხალხები აზრს, რომ ამიერიდან ეს იარაღი კაცობრიობის მუდმივი თანამგზავრი იქნება.

ასეთი კონცეპცია ხელს აძლევს იმათ, ვინც ამზადებს ატომური და წყალბადის იარაღის გამოყენების ბარბაროსულ გეგმებს, ვინც მზად არის ახალი ომის უფსკრულში გადაჩეხოს მსოფლიო, მაგრამ იგი უცხოა ხალხებისათვის, უცხოა მშვიდობის ინტერესებისათვის. მასში ჩანს იმ ადამიანთა უიმედო პესიმიზმი, რომლებმაც დაკარგეს იმ საზოგადოებრივი სისტემის რწმენა, რომელიც კაცობრიობის გონების ყველაზე დიდ აღმოჩენებს უსაშინელეს საქლეტ იარაღებად აქცევს.

ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტის მოწინააღმდეგეთ საფრთხედ ის მიაჩნიათ, რომ ასეთი შეწყვეტა მოაახლოებს ატომგულის იარაღის სრული და საბოლოო აკრძალვის და მისი მოსპობის დროს. მაგრამ ეს ამ მოთხოვნის სუსტი მხარე კი არ არის, არამედ ძლიერი მხარეა.

თუ ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტა გააძნელებს ამ იარაღის ჩხარუნს და ავანტიურისტული პოლიტიკის განხორციელებას, თუ იგი ცივი შხაპი იქნება ყველაზე „ფიცხი ადამიანებისათვის" ნატოს სამხედრო შტაბებში, უკვე მარტო ეს დიდი მოგება იქნება მშვიდობის საქმისათვის. მეცნიერებმაც, სამხედრო პირებმაც, პოლიტიკურმა მოღვაწეებმაც ხომ კარგად იციან, რომ ატომგულის იარაღის განვითარებამ ისეთ დონეს მიაღწია, როცა ერთი-ორი წყალბადის ბომბის აფეთქების შედეგად შეიძლება მთლიანად ან თითქმის მთლიანად დაიმარხოს ყოველივე, რაც კი რამ ცოცხალია ევროპის არცთუ მცირე სიდიდის სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ამასთან ეს ბომბები შეიძლება თითქმის თვალის დახამხამებაში მიტანილ იქნას დედამიწის ყოველ პუნქტში შესაბამისი რაკეტების საშუალებით. ასეთია მდგომარეობა ამჟამად. მდიდარი ფანტაზია როდია საჭირო იმისათვის, რომ მივხვდეთ, თუ რას მიაღწევს მსოფლიო, ატომგულის იარაღის სრულყოფა კვლავაც რომ გაგრძელდეს.

სად არის ის ოპტიმისტი, რომელსაც დღეს კეთილსინდისიერად შეუძლია ამტკიცოს, რომ ატომური და წყალბადის იარაღის დაგროვება სასარგებლოა მშვიდობის საქმისათვის, ხოლო სულ უფრო დამანგრეველი ტიპის იარაღის შემუშავების შეწყვეტა მავნეა? თუ დასავლეთში კიდევაც არიან პასუხისმგებელი სახელმწიფო მოღვაწეები, რომლებიც ნამდვილად ასე ფიქრობენ, უნდა ვაღიაროთ, რომ ისინი აშკარად დაუბრმავებია ილუზიებს და მათ არ შესწევთ უნარი შეიგნონ შექმნილი ვითარების სერიოზულობა. ეს დიდი ტრაგედიაა იმ ქვეყნების ხალხებისათვის, რომელთა პოლიტიკასაც ხელმძღვანელობენ ასეთი მოღვაწეები, და დიდი საფრთხეა მშვიდობის საქმისათვის.

ატომგულის გამოცდა მავნეა არა მარტო იმიტომ, რომ იგი აღიდებს ისეთი ომის საფრთხეს, რომლის დროსაც გამოყენებულ იქნება ატომური და წყალბადის იარაღი. ეს გამოცდა საშიშია თავისთავადაც იმ მავნე ზემოქმედების გამო, რომელსაც იგი ადამიანთა ჯანმრთელობაზე ახდენს. ამის შესახებ სერიოზულ გაფრთხილებას შეიცავს 44 ქვეყნის 9.235 მეცნიერის პეტიცია, რომელიც ამა წლის დამდეგს გადაეცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს. საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, ინდოეთის, ჩეხოსლოვაკიის, ეგვიპტის, ნორვეგიისა და სხვა ქვეყნების გამოჩენილი მეცნიერები, რომლებმაც ხელი მოაწერეს ამ პეტიციას, მოუწოდებენ დაუყოვნებლივ დაიდოს შეთანხმება ატომური ბომბების გამოცდის შეწყვეტის შესახებ. მთელი მსოფლიოს მეცნიერების მოღვაწეები, რომელთა აზრი ყველაზე ავტორიტეტიანად უნდა იქნას აღიარებული ამ საკითხის შესაფასებლად, დიდ შეშფოთებას გამოთქვამენ იმასთან დაკავშირებით, რომ არ წყდება ატომგულის იარაღის აფეთქება, და პროტესტის ხმას იმაღლებენ აფეთქების განგრძობის წინააღმდეგ. საბჭოთა მთავრობის აზრით, დანაშაულებრივი მოუფიქრებლობა იქნება, რომ ყურად არ იღონ ეს გაფრთხილება.

მართალია, გვხვდებიან საქმის ცოდნის პრეტენზიის მქონე ისეთი ადამიანებიც განსაკუთრებით ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომლებიც ამტკიცებენ, თითქოს საფრთხე, რომელიც წარმოიშობა ატომგულის იარაღის გამოცდისაგან, არცთუ ისე დიდია. ისინი, როგორც ჩვენ გვგონია, ტყუილს ამბობენ. მათი არგუმენტები ატომგულის გამალებული შეიარაღების განგრძობისა და ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის განგრძობის სასარგებლოდ იმდენად უახლოვდებიან „ცივი ომის" შთამაგონებელთა ჩვეულებრივ, სტანდარტულ მოსაზრებებს, რომ ნდობას ვერ დაიმსახურებენ.

მაგრამ დავუშვათ, რომ იმ საფრთხის ნამდვილი ოდენობა, რომელსაც იწვევენ ადამიანისათვის ატომური და წყალბადის იარაღის გამოსაცდელი აფეთქებანი, ზუსტად არ არის გამორკვეული, რომ არსებობს მხოლოდ იმის დიდი რისკი, რომ ეს გამოცდა დამღუპველ გავლენას ახდენს ჩვენი თანამედროვეებისა და მათი შთამომავლობის ჯანმრთელობაზე. დავუშვათ, რომ ამის სიმართლე შეადგენს სულ 50 პროცენტს, ვთქვათ 25 პროცენტს, ან თუნდაც 10 პროცენტს. გვაქვს თუ არა უფლება ამ პირობებშიც არ გავითვალისწინოთ ასეთი რისკი, როცა საქმე ეხება მილიონობით და მილიონობით ადამიანის ბედს? როგორც ჩანს, ამის უგულებელყოფა არ შეუძლია არც ერთ სახელმწიფო მოღვაწეს, არც ერთ მთავრობას, თუ კი მათ არ დაუკარგავთ ხალხების წინაშე პასუხისმგებლობის ყოველგვარი გრძნობა.

არ შეიძლება არ დავინახოთ ისიც, რომ ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტა დასავლეთის, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებული შტატების, ზოგიერთ მოღვაწეს მიაჩნია საფრთხედ დასავლეთის ქვეყნების ეკონომიკისათვის. ისინი პირდაპირ გამოთქვამენ შიშს, რომ ასეთ ღონისძიებას არ მოჰყვეს ამ ქვეყნების ეკონომიური ცხოვრების მოშლა, ხოლო უფრო ზუსტად, რომ მან შეიძლება ხელი შეუწყოს დიდ მონოპოლიათა ზღაპრული მოგების დაკარგვას, რასაც ისინი იღებენ საერთოდ სამხედრო წარმოებისაგან და კერძოდ ატომური და წყალბადის იარაღის წარმოებისაგან. ამერიკის შეერთებულ შტატებში ზოგჯერ გაისმის ხმები, რომლებიც აფრთხილებენ ამერიკის დიპლომატიურ უწყებას, რომ არის საბჭოთა კავშირთან შეთანხმების საფრთხე. მაგრამ, ჯერ-ერთი, ამ უწყებისათვის ყველაზე ნაკლებად ნაცნობია ისეთი თვისება, როგორიც არის მზადყოფნა საბჭოთა კავშირთან შეთანხმებისათვის; მეორე, ზედმეტი არ არის აღინიშნოს, რომ ჯიუტობა დიპლომატიაშიც როდია ყველაზე უკეთესი თვისება; მესამე, და ეს მთავარია, დასავლეთის ქვეყნების ეკონომიკას საფრთხე ემუქრება არა ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტით და არა გამალებული შეიარაღების შეწყვეტით, არამედ მილიტარიზაციით, რომლის მარწუხში მოქცეულია ამჟამად ატლანტიკის ბლოკის მონაწილე სახელმწიფოთა მთელი ეკონომიკა. არის ყველა საფუძველი ვიფიქროთ, განსაკუთრებით დღევანდელი დღის ფაქტების მიხედვით, რომ რაც უფრო მაღალია ამ ქვეყნების ეკონომიკის მილიტარიზაციის დონე, მით უფრო მკვეთრი იქნება მისი გადაჩეხა ეკონომიური კრახის უფსკრულში. ხომ ვერ იხსნა დღეს ატომურმა და წყალბადის ბომბმა უმუშევრობისაგან ამერიკის შეერთებულ შტატებში 5 მილიონ 300 ათასი ამერიკელი.

იმისათვის, რომ შევაჩეროთ ეს საშიში შეჯიბრება ატომგულის იარაღის დარგში, რომ დავიცვათ ადამიანთა ჯანმრთელობა ატომურ და წყალბადის აფეთქებათა შედეგებისაგან, ატომგულის იარაღის გამოცდა კვლავ აღარ უნდა მოხდეს. რა საწინააღმდეგო მოსაზრებებიც უნდა წამოაყენონ ამ წამოწყების მოწინააღმდეგეებმა ატომური ომის საფრთხის თავიდან აცილების გზაზე, სრულიადაც არ არის რთული მისი განხორციელება და ატომგულის გამოცდის შეწყვეტის შესახებ საერთაშორისო შეთანხმების განუხრელი შესრულების უზრუნველყოფა.

თუ რად ღირს მოსაზრებანი, რომლებსაც გაძლიერებით ავრცელებენ დასავლეთში, თითქოს კონტროლი გამოცდისადმი ძნელი და თითქმის შეუძლებელია, ჩანს შემდეგი მაგალითით. ამას წინათ ამერიკის პრესიდან შევიტყვეთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ატომურ კომისიას თავის განცხადებათა დასასაბუთებლად, რომ შეუძლებელია ზოგიერთი ატომური აფეთქების (კერძოდ, მიწის ქვეშ წარმოებული აფეთქების) აღმოჩენა, ფაქტიურად მოჰყავდა რამდენჯერმე შემცირებული მონაცემები შორ მანძილზე ასეთ აფეთქებათა რეგისტრაციის პირობების შესახებ და ხანგრძლივი დროის განმავლობაში საზოგადოებრიობას უმალავდა მის განკარგულებაში არსებულ მეცნიერულ ცნობებს, რომლებიც ამტკიცებენ სწორედ პირიქითს — კონტროლის სრულ შესაძლებლობას.

ყველა მტკიცებას, რომ ვითომდა შეუძლებელია ატომგულის აფეთქებათა აღმოჩენა, ნამდვილად ერთადერთი მიზანი აქვს — გაამართლოს გამალებული ატომური შეიარაღების განგრძობა, და მათ სავსებით აბათილებს სპეციალისტთა პრაქტიკა და აზრი როგორც საბჭოთა კავშირში, ისე ამერიკის შეერთებულ შტატებში.

როცა სამი წლის წინათ საბჭოთა კავშირმა პირველად მიმართა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთს წინადადებით შეეწყვიტათ გამოცდა, დასავლეთის სახელმწიფოთა საწინააღმდეგო მოსაზრება იმით ამოიწურებოდა, რომ შეთანხმება დასახელებულ საკითხზე მოითხოვს საიმედო კონტროლის სისტემის შემუშავებას. უკვე მაშინ ცხადი იყო, რომ მთელი ეს ლაპარაკი მხოლოდ საბაბია, რადგან თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკურ საშუალებათა დროს ადვილი აღმოსაჩენია ყოველი ატომური აფეთქება. მაგრამ იმისათვის, რომ არ მიეცა გამოცდის შეწყვეტის მოწინააღმდეგეთათვის თავის დაძვრენის საბაბი, სსრ კავშირმა თვითონ შეიტანა წინადადება კონტროლის საკითხზე.

საბჭოთა მთავრობამ, როგორც ცნობილია, წინადადება შეიტანა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, რომ სახელმწიფოების მიერ ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტის ვალდებულებათა შესრულებისადმი მეთვალყურეობისათვის შეიქმნას საერთაშორისო კომისია და მისი ხელმძღვანელობით ნაცვალგების საწყისებზე დაწესდეს საკონტროლო საგუშაგოები სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის ტერიტორიაზე და წყნარი ოკეანის რაიონში, ავსტრალიის ჩათვლით.

ხოლო როცა საბჭოთა კავშირის ამ წინადადებამ ვერ აიძულა ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო მოღვაწეები, რომლებიც ასე ბევრს ლაპარაკობდნენ კონტროლზე, ბოლოს და ბოლოს დათანხმებოდნენ გამოცდის შეწყვეტას, ყველაზე მიმნდობი ადამიანებისთვისაც კი ცხადი გახდა, რომ საქმე სულაც არ არის კონტროლი, არამედ ის, რომ დასავლეთის სახელმწიფოთა გარკვეულ წრეებს ჯიუტად არა სურთ შეზღუდონ გამალებული ატომური შეიარაღება. სხვა დაბრკოლება გამოცდის შეწყვეტის გზაზე არ ყოფილა და არ არის.

შეთანხმება ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ ახლა შედარებით ადვილი მისაღწევია იმიტომაც, თუ მხედველობაში მივიღებთ ამისათვის ობიექტურად არსებულ შესაძლებლობებს, რომ ასეთი იარაღი არის და მზადდება ამჟამად მხოლოდ სამ სახელმწიფოში: სსრ კავშირში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთში. მაშასადამე, საქმე ეხება იმას, რომ მხოლოდ ეს სამი სახელმწიფო შეთანხმდეს ერთმანეთს შორის, მაშინ საკითხი გადაიჭრება. ამასთან ერთ-ერთმა ამ სახელმწიფომ — საბჭოთა კავშირმა — უკვე დიდი ხანია განაცხადა, რომ სავსებით მზად არის გახდეს მონაწილე შეთანხმებისა გამოცდის შეწყვეტის შესახებ და არ დაუკავშიროს მას რაიმე სხვა საკითხები ან გამართულებელი პირობები.

ვფიქრობ, საჭირო არ არის იმის ვრცლად მტკიცება, რომ თუ რამდენიმე ხნის შემდეგ ატომგულის იარაღის მწარმოებელი ქვეყნების რიცხვი გაიზარდა, გაცილებით უფრო რთული იქნება შეთანხმება გამოცდის შეწყვეტის შესახებ, როგორც საერთოდ გამალებული ატომური შეიარაღების შეწყვეტის შესახებაც. ეს კიდევ ერთი საფუძველია იმის სასარგებლოდ, რომ გამოცდის შეწყვეტის საკითხი გადაიჭრას ახლა, სანამ სიძნელენი გამოცდის შეწყვეტის გზაზე დამატებით არ გაზრდილა.

ზოგჯერ გვესმის, თითქოს ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის განგრძობა ესაჭიროება ინგლისს, რომელიც ჩამორჩა ამ დარგში და სურს დაეწიოს საბჭოთა კავშირსა და ამერიკას. უცნაური მოსაზრებაა! მართლაც: სად არის იმის გარანტია, რომ თუ ატომგულის გამოცდა გაგრძელდა, ინგლისელები აუცილებლად მოსპობენ თავიანთ ჩამორჩენას და არა კიდევ უფრო მეტად ჩამორჩებიან? გამალებული შეიარაღება არის გამალებული შეიარაღება და აქ ყველა მხარე, ალბათ, ყოველ ღონეს იხმარს, რათა არ ჩამორჩეს. ასეთ პირობებში იმედის დამყარება „ჩამორჩენის ლიკვიდაციაზე" არცთუ ისე საიმედოა და სერიოზული. ასეთ მერყევ საფუძველზე პოლიტიკის აგება, სულ ცოტა რომ ვთქვათ, არაგონივრულია.

ამასთან ინგლისელი ხალხის ფართო მასებს აქვთ თავიანთი აზრი იმის შესახებ, ინგლისისათვის სასარგებლოა თუ მავნეა შემდგომი მონაწილეობა გამალებულ ატომურ შეიარაღებაში. ტყუილად ხომ არა ვართ იმის მოწმენი, რომ დიდ ბრიტანეთში უმაგალითო ძალით ჩაღდება სახალხო მოძრაობა ატომგულის გამოცდის დაუყოვნებლივ შეწყვეტისათვის, მოძრაობა წყალბადის ბომბების წარმოების წინააღმდეგ.

უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების წინააღმდეგ ილაშქრებს, არავინ იცის რატომ, საფრანგეთი. ამტკიცებენ, თითქოს საფრანგეთს სურს რაც შეიძლება მალე დაიწყოს ატომური ბომბების წარმოება და აგრეთვე გახდეს „ატომის სახელმწიფო". ძნელი დასაჯერებელია. მაგრამ, როგორც ჩანს, იმათ შორის, ვინც დღეს განსაზღვრავს საფრანგეთის პოლიტიკას, ნამდვილად არიან ადამიანები, რომლებიც სერიოზულად ფიქრობენ, რომ ამ ქვეყნის ეროვნული ინტერესები მოითხოვს, რომ იგი ჩაებას გამალებულ ატომურ შეიარაღებაში და დაიწყოს თავისი ეკონომიური რესურსების ფლანგვა ამ მიზნისათვის. განა ამ ქვეყნის ეროვნული ქონება საკმაოდ არ გაიფლანგა უამისოდაც ომებზე თუნდაც ვიეტნამსა და ალჟირში? შემთხვევით როდი გაისმის თვითონ საფრანგეთში ხმები, რომლებიც სამართლიანად იძლევიან გაფრთხილებას, რომ ამ გზას საერთო არა აქვს რა საფრანგეთის უშიშროებისა და ეროვნული სიდიადის ნამდვილ ინტერესებთან. განა ბევრი გამოინახება ფრანგი, რომელსაც სერიოზულად სწამს, რომ საფრანგეთის ნამდვილი უშიშროებისა და აყვავების გზა უნდა გაკაფოს ატომურმა და წყალბადის ბომბმა შტამპით „გაკეთებულია საფრანგეთში"? საეჭვოა, რომ ბევრი გამოინახოს.

ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტა ხელს შეუშლის ამ იარაღის შემდგომ გავრცელებას, თავიდან აგვაცილებს სულ ახალი და ახალი ქვეყნების ჩაბმას გამალებულ ატომურ შეიარაღებაში, რაც, რა თქმა უნდა, უკვე თავისთავად შეესაბამება მშვიდობის ინტერესებს.

მეორე მხრივ, ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტა შეიძლება იყოს და კიდევაც უნდა იყოს ის პირველი ნაბიჯი, სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის ის ჟესტი, რომელსაც ასე მოელის ყველა ხალხი. ეჭვი არ არის, რომ ამ გამოცდის ყველგან შეწყვეტა დაუყოვნებლივ მოახდენს უაღრესად კეთილნაყოფიერ გავლენას მთელ საერთაშორისო ვითარებაზე. იგი ხელს შეუწყობს ატომური ომის საფრთხის შემცირებას, რომელიც აწუხებს კაცობრიობას, და გზას გაუკაფავს სხვა საერთაშორისო საკითხების, და პირველ რიგში განიარაღების სხვა საკითხების გადაჭრას.

ასეთია, ამხანაგო დეპუტატებო, მიზეზები, რომელთა გამო საბჭოთა მთავრობას ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტის ამოცანა მიაჩნია მომენტის ყველაზე მომწიფებულ და სასწრაფო მოთხოვნად. სწორედ ამიტომ იმ პრობლემებს შორის, რომელთა განხილვას სახელმწიფოთა უმაღლესი დონის თათბირზე მოითხოვს სსრ კავშირის მთავრობა, პირველ ადგილზე დგას ამ იარაღის გამოცდის დაუყოვნებლივ შეწყვეტის საკითხი. ამასთან საბჭოთა მთავრობა მოითხოვს განხილულ იქნას ეს საკითხი დამოუკიდებლად, პირველ რიგში, ისე, რომ არ დაველოდოთ, სანამ სახელმწიფოთა შორის შეთანხმებულ იქნებოდეს განიარაღების დანარჩენი საკითხები.

რამდენადაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და დიდმა ბრიტანეთმა არ განაცხადეს, რომ მზად არიან დათანხმდნენ გამოცდის საბოლოო და უთუო შეწყვეტაზე, ჩვენ თავის დროზე შევიტანეთ წინადადება — შეწყდეს გამოცდა თუნდაც დროებით, 2-3 წლის ვადით იმ ვარაუდით, რომ ამ ხანში გაუმჯობესებულ საერთაშორისო ვითარებაში შესაძლებელი გახდება შეთანხმება ამ საკითხის საბოლოო გადაჭრის შესახებ, ხოლო შესაძლოა ატომგულის იარაღის გამოყენებისა და წარმოების აკრძალვის მთელი პრობლემის საბოლოო გადაჭრის შესახებაც.

როგორ უპასუხეს ამას ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებმა?

ვერ გაბედეს რა აშკარად გაელაშქრნათ საბჭოთა წინადადების წინააღმდეგ გამოცდის შეწყვეტის შესახებ, მათ აირჩიეს ობსტრუქციის მეთოდი, ზედიზედ ქმნიან რა ამ წინადადების განხორციელების გზაზე სხვადასხვა დაბრკოლებას. მაგალითად, გამოცდის შეწყვეტას დასავლეთის სახელმწიფოები განაპირობებდნენ შეთანხმების მიღწევით განიარაღების ხან ერთი, ხან მეორე საკითხის შესახებ, ამასთან საქმე ეხებოდა გაცილებით უფრო რთულ საკითხებს, რომელთა შესახებ შეთანხმების მიღწევაც უფრო ძნელი საქმეა, ვიდრე შეთანხმება ატომგულის გამოცდის შეწყვეტის შესახებ იმავე სახელმწიფოთა პოზიციის გამო.

სსრ კავშირის წინადადება გამოცდის შეწყვეტის შესახებ განიხილეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ორგანოებმაც, მათ შორის გენერალურმა ასამბლეამ. მაგრამ აქაც იჩინა თავი ამ საკითხისადმი ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობათა დამოკიდებულებამ. სიტყვით თითქმის ყველა დელეგაცია თანაგრძნობას უცხადებდა წინადადებას ატომგულის გამოცდის დაუყოვნებლივ შეწყვეტის შესახებ, მაგრამ როგორც კი საქმე კენჭისყრაზე მიდგებოდა, ამერიკის შეერთებულ შტატებზე დამოკიდებული ბევრი ქვეყნის, განსაკუთრებით ბევრი ისეთი ქვეყნის დელეგაციებს, რომელნიც შებოჭილი არიან დასავლეთის სახელმწიფოების მიერ შექმნილი სხვადასხვა სამხედრო ბლოკით ნაკისრი ვალდებულებებით, როგორც იტყვიან, ხელი არ ემორჩილებოდათ, რათა ხმა მიეცათ ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციის წინააღმდეგ.

ამის შედეგად ახალ სახეობათა ატომგულის იარაღის წარმოების დარგში შეჯიბრება და ამ იარაღის გამოსაცდელი აფეთქებანი, რაც მას ახლავს, არათუ არ შეწყდა, არამედ უფრო ფართო მასშტაბიც კი ეძლევა, რაც დღითიდღე აძლიერებს ხალხების შეშფოთებას თავიანთი ხვალინდელი დღისათვის. ყოველთვის, როცა კი წყნარი ოკეანის კუნძულებზე გამოჩნდება სოკოს მსგავსი ღრუბელი, რომელსაც ახლა მისი მოხაზულობით უკვე ბევრნი იცნობენ, მარშალის კუნძულების, იაპონიისა და წყნარი ოკეანის აუზის სხვა ქვეყნების მცხოვრებნი გულისწყრომით ფიქრობენ, მათაც ხომ არ ეწევათ ბედი იაპონელი მებადურეებისა, რომელნიც არაფერს არ ელოდნენ და რომელთაც თავზე დააცვივდათ რადიაქტიური ფერფლი, რაც მოჰყვა ამერიკის წყალბადის ბომბის გამოცდას. უფსკრული მთავრობებს შორის, რომელთაც არა სურთ უარი თქვან ატომგულის იარაღის გამოცდაზე, და მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს შორის, რომელმაც დიდი ხანია განსაზღვრა თავისი დამოკიდებულება ასეთი გამოცდისადმი, სულ უფრო აშკარა, სულ უფრო ღრმა ხდება.

იმისათვის, რომ ყველა სახელმწიფომ, რომელიც ასეთ იარაღს ფლობს, შეწყვიტოს გამოცდა, იბრძვიან ყველა სოციალისტური ქვეყნის ხალხები, პარლამენტები და მთავრობები. ატომგულის გამოცდის შეწყვეტას მტკიცედ და თანმიმდევრულად მოითხოვენ ინდოეთის მთავრობა და ხალხი. ამ წინადადებას ამა თუ იმ ფორმით ოფიციალურად დაუჭირეს მხარი აგრეთვე ინდონეზიის, იაპონიის, ბირმის, ცეილონის, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, პაკისტანის, ირანის, შვეციის, ნორვეგიის, დანიის, ფინეთის, მექსიკისა და ბევრი სხვა ქვეყნის მთავრობებმა. ატომგულის გამოცდის შეწყვეტისაკენ მოუწოდეს აგრეთვე ინდონეზიის, ბირმის, იაპონიის პარლამენტებმა.

გულგრილად არც იმ კაპიტალისტური ქვეყნების ხალხები რჩებიან, რომელნიც ატომურ იარაღს ფლობენ. ატომგულის გამოცდის წინააღმდეგ პროტესტს აცხადებენ დიდ ბრიტანეთში მოსახლეობის ფართო მასები, სულ სხვადასხვა სოციალური და პოლიტიკური ჯგუფები. ამ მოძრაობის მასშტაბს უკვე ის მოწმობს, რომ მას თავიანთი ხელმძღვანელი ორგანოების მეთაურობით შეუერთდნენ ისეთი მასობრივი ორგანიზაციები, როგორიც არის ბრიტანეთის ტრედ-უნიონთა კონგრესი. ჩვენთვის, საბჭოთა ადამიანებისათვის, სავსებით გასაგებია შეშფოთება, რომელსაც ინგლისელებში იწვევს ატომური იარაღის გამოცდა, რაც კვლავ გრძელდება, სულ ახალი და ახალი ნიმუშის ამ იარაღის შექმნა. გამალებული ატომური შეიარაღება, რომელიც საშიშია ყველა ქვეყნისათვის, განსაკუთრებით დამღუპველია სახელმწიფოებისათვის, რომლებსაც შედარებით მცირე ტერიტორია აქვთ და მეტად მჭიდროდ არიან დასახლებულნი, რომელთა რიცხვს დიდი ბრიტანეთიც ეკუთვნის.

(დასასრული მე-4 გვერდზე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სსრ კავშირის მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია

# სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს განცხადება

(დასასრული)

ამერიკის შეერთებულ შტატებშიც სულ უფრო მტკიცედ გაისმის ხმები, რომლებიც მოითხოვენ შეწყდეს ატომგულის გამოცდა. საბჭოთა კავშირთან და ინგლისთან ამ საკითხზე შეთანხმების დადებისაკენ მოუწოდებენ ამერიკის შეერთებული შტატების ბევრი თვალსაჩინო პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, პროფკავშირები, სტუდენტთა კოლექტივები და ამერიკის სხვა ორგანიზაციები.

ვაჯამებთ რა მთელ ნათქვამს, შეიძლება აღინიშნოს, რომ ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტის ამოცანა არა მარტო გადაუდებელ გადაწყვეტას მოითხოვს, არამედ აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ **ამჟამად არის იმისათვის საჭირო საერთაშორისო პირობები, რომ ეს საკითხი ბოლოს და ბოლოს გადაიჭრას.** როგორც ჩანს, შორს არ არის ის მომენტი, როცა დასავლეთის სახელმწიფოთა მთავრობები ველარ გაუწევენ წინააღმდეგობას საყოველთაო მოთხოვნას, რომ ბოლო მოეღოს ატომგულის გამოცდას.

ამრიგად, ამჟამად საჭიროა ახალი ენერგიული ღონისძიებანი, რათა მიღწეულ იქნას, რომ ყველგან შეწყდეს ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ითვალისწინებს იმას, რომ სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ, რომელსაც არაერთხელ განუხილავს ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხი, მოიწონა საბჭოთა მთავრობის პოლიტიკა და პრაქტიკული ღონისძიებანი, რომელთა მიზანია მიღწეულ იქნას შეთანხმება ამ საკითხზე სხვა სახელმწიფოებთან, და ყოველმხრივ დაუჭირა მხარი მის ღონისძიებებს ამ მიმართულებით.

ცდილობენ რა ყოველი ღონისძიებით შეუწყონ ხელი ატომური ომის საფრთხისაგან კაცობრიობის ხსნის დიადი მიზნის მიღწევას, **სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განსახილველად შემოაქვს წინადადება, რომ ამ გზაზე პირველი ნაბიჯის სახით საბჭოთა კავშირმა ცალმხრივად შეწყვიტოს ყველა სახეობის ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის წარმოება.**

შემოაქვს რა ეს წინადადება, საბჭოთა მთავრობა ხელმძღვანელობს იმით, რომ საბჭოთა კავშირის ეს კეთილშობილური ინიციატივა, რომელიც შეესაბამება ყველა ქვეყნის მილიონობით და მილიონობით ადამიანის მისწრაფებებს, ხელს შეუწყობს მთელი საერთაშორისო ვითარების შემდგომ გაჯანსაღებას და შესაბამის გამოხმაურებას ჰპოვებს სხვა სახელმწიფოთა მხრივ, რომლებსაც აქვთ ატომგულის იარაღი და აწარმოებენ მის გამოცდას. თუ ეს სახელმწიფოები, ესე იგი ამერიკის შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთი, შეუერთდებიან საბჭოთა კავშირს და თავის მხრივ მიიღებენ გადაწყვეტილებას ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ, საკითხი, რომელიც ჩვენს დროში დიდად აღელვებს ყველა ხალხს, ბოლოს და ბოლოს, გადაიჭრება: ატომგულის იარაღის ექსპერიმენტულ აფეთქებებს ბოლო მოეღება ყველგან და სამუდამოდ.

რა თქმა უნდა, თუ სხვა ქვეყნების მთავრობები, რომლებსაც აქვთ ატომგულის იარაღი, არ მოისურვებენ გამოეხმაურონ სსრ კავშირის ინიციატივას, არამედ ამ წინადადებაზე უპასუხებენ იმით, რომ განაგრძობენ ატომური და წყალბადის იარაღის აფეთქებას, საბჭოთა კავშირს მომავალში მოუხდება თავისი უშიშროების ინტერესების გათვალისწინებით იმოქმედოს ატომგულის გამოცდის საკითხში.

ესწრაფვის რა საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას და ხელმძღვანელობს რა ყველა სახელმწიფოსთან მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპით, საბჭოთა კავშირს უკვე არაერთხელ მიუღია ცალმხრივი წესით ღონისძიებანი თავისი შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების შემცირებისათვის. ომისშემდგომ წლებში სსრ კავშირმა ნებაყოფლობით თქვა უარი სამხედრო ბაზებზე, რომლებიც მას საერთაშორისო ხელშეკრულებათა შესაბამისად ჰქონდა უცხო სახელმწიფოთა ტერიტორიებზე. საბჭოთა შეიარაღებული ძალების რიცხვი 1955-დან 1957 წლამდე შემცირდა 1 მილიონ 840 ათასი კაცით, ხოლო ამჟამად, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილების შესაბამისად, დასასრულს უახლოვდება ახალი შემცირება კიდევ 300 ათასი კაცით.

მაგრამ, სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკში შემავალ სახელმწიფოებს დღემდე არ უპასუხნიათ ამაზე ასეთივე საქმეებით, არამედ, პირიქით, მთელ თავიანთ პოლიტიკას აგებენ საომარი მზადების გაძლიერებაზე. ცდილობენ ამ მზადებაში ჩაბმული ქვეყნების ხალხები დაამშვიდონ ყალბი მოსაზრებებით, როგორც, მაგალითად, ლეგენდებით „ერთობლივ კონტროლზე" რაკეტული ბაზებისადმი, რომლებსაც ამერიკის შეერთებული შტატები ქმნიან თავიანთ დასავლეთევროპელ „მოკავშირეთა" მიწაწყალზე. თითქოს შეიძლებოდეს მართლაც დავიჯეროთ, რომ თუ წრეები, რომლებიც განსაზღვრავენ ნატოს პოლიტიკას, გააჩაღებენ ატომურ ომს, რაიმე მნიშვნელობა ექნება, ვთქვათ, ინგლისის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ბელგიისა და ჰოლანდიის მთავრობებისა და პარლამენტების თანხმობას თუ დაუთანხმებლობას ამ ქვეყნების ტერიტორიიდან ამერიკის რაკეტების გაშვებაზე, ან იმ ატომგულის ბომბების ჩამოყრაზე, რომლებიც უკვე დატვირთულია ამერიკის ბომბდამშენებზე, რომლებსაც ბაზა აქვთ იმავე ტერიტორიაზე.

პირდაპირ უნდა ითქვას, ამხანაგო დეპუტატებო, რომ თუ მთელი ამ საომარი მზადების ორგანიზატორებს იმედი აქვთ, რომ განიარაღების საქმეს კვლავაც ცალმხრივად განახორციელებს მარტო საბჭოთა კავშირი, ხოლო დასავლეთის სახელმწიფოები ამ დროს გაზრდიან თავიანთ შეიარაღებას, ეს მცდარი ვარაუდია. განიარაღება შეიძლება დაემყაროს მხოლოდ პატიოსან შეთანხმებას ყველა მხარის უშიშროების ინტერესების გათვალისწინებით. აი ამიტომ საბჭოთა მთავრობა, შემოაქვს რა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წინადადება სსრ კავშირში ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის ცალმხრივი შეწყვეტის შესახებ, ამასთან მოელის, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთი შეუერთდებიან საბჭოთა კავშირის ამ გადაწყვეტილებას და, ამრიგად, თავის მხრივ შეიტანენ წვლილს გამალებული ატომგულის შეიარაღების შეზღუდვისა და ატომური ომის საფრთხის შემცირების საქმეში.

ჩვენ გვწამს, რომ დასავლეთში მოიძებნებიან ძალები, რომლებსაც უნარი შესწევთ სალად შეაფასონ შექმნილი ვითარება, რომელიც არ გვაძლევს საშუალებას ვითამაშოთ მშვიდობის ბედით და ავალებს სახელმწიფოების, დიდი და პატარა სახელმწიფოების მთავრობებს ყველაფერი გააკეთონ, რაც კი შესაძლებელია, სამხედრო კატასტროფის თავიდან ასაცილებლად.

შეიძლება წარმოვიდგინოთ, თუ რა დიდ გავლენას მოახდენს საერთაშორისო ურთიერთობის მთელ განვითარებაზე სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის შეთანხმება ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ. ახლანდელი დაძაბულობისა და ყველა სახეობის იარაღის გამალებული წარმოების პირობებში, პრაქტიკულ ნაბიჯს, რომელსაც ერთობლივად გადადგამენ სახელმწიფოები საშიში საომარი მზადების შეზღუდვის მიმართულებით, ჭეშმარიტად უდიდესი მნიშვნელობა ექნება. ამას ხალხები შეხვდებიან როგორც იმის დადასტურებას, რომ საერთაშორისო ურთიერთობაში იწყება გარდატეხა სახელმწიფოთა შორის ნდობისა და მშვიდობიანი თანამშრომლობის განმტკიცების მიმართულებით. საბჭოთა მთავრობა დარწმუნებულია, რომ ატომგულის გამოცდის ყველგან შეწყვეტა დასაბამს მისცემს ასეთ გარდატეხას.

ამხანაგო დეპუტატებო,

საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღების აქტიურ ღონისძიებათა საჭიროება მით უმეტეს აუცილებელია, რომ საერთაშორისო ასპარეზზე მოქმედებენ ძალები, რომლებიც ჯიუტად უბიძგებენ მსოფლიოს პირდაპირ საწინააღმდეგო მიმართულებით: არა ნდობის განმტკიცებისაკენ, არამედ სახელმწიფოთა შორის უნდობლობისა და მტრობის გამწვავებისაკენ, არა გამალებული ატომური შეიარაღების შეწყვეტისაკენ, არამედ მისი შემდგომი გაღვივებისაკენ, არა მშვიდობისაკენ, არამედ ომისაკენ.

ამ ძალების საქმიანობის დამაჯერებელი გახსენება იყო ის, რომ ამას წინათ მთავრობის პარტიების ხმებით გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბუნდესტაგმა (პარლამენტმა) მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას აძლევს ატომური და რაკეტული იარაღით დასავლეთ გერმანიის შეიარაღებული ძალების აღჭურვის რწმუნებას. ამრიგად, დასავლეთ გერმანიის მილიტარისტებმა ახლა უკვე აშკარად გამოაცხადეს, რომ შეიარაღებისათვის იღებენ ატომურ ბომბებსა და რაკეტებს ატლანტიკის ბლოკში თავიანთი პარტნიორების კურთხევით.

დანაშაულებრივი უყურადღებობა იქნებოდა ჯეროვნად არ შეგვეფასებინა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის ეს ნაბიჯი. წრეებს, რომლებიც განსაზღვრავენ დასავლეთ გერმანიის ახლანდელ პოლიტიკას, აშკარად მიჰყავთ ეს ქვეყანა იმავე საბედისწერო გზით, რომლითაც მიდიოდა ჰიტლერული გერმანია. ცნობილია, რომ დასავლეთ გერმანიის ხელმძღვანელ პოლიტიკურ და სამხედრო წრეებში დიდი გავლენით სარგებლობენ იგივე ძალები, რომლებმაც ერთ დროს ხელისუფლების სათავეში ჩააყენეს ჰიტლერი და იყვნენ მის დანაშაულობათა თანამონაწილენი. არ შეიძლება დავივიწყოთ ისიც, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა ევროპის ერთადერთი სახელმწიფოა, რომლის მთავრობა ცდილობს შეცვალოს ახლანდელი საზღვრები ევროპაში. როგორ უნდა შევაფასოთ ასეთ პირობებში ატომური და რაკეტული იარაღით დასავლეთ გერმანიის არმიის შეიარაღების განზრახვა? ეს შეიძლება შევაფასოთ მხოლოდ როგორც ევროპის ხალხების და უწინარეს ყოვლისა გერმანიის მეზობლების გამოწვევა.

ცდილობენ რა როგორმე გაამართლონ თავიანთი მოქმედება, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ახლანდელი პოლიტიკის ხელმძღვანელები მიმართავენ მონაჭორებს სსრ კავშირის მხრიდან „თავდასხმის საფრთხის" შესახებ და „მსოფლიო კომუნიზმის საფრთხის" შესახებ. ცდილობენ გერმანელთა სული კვლავ მოწამლონ საბჭოთა კავშირისადმი მტრობის შხამით, როგორც ეს უკვე კეთდებოდა ჰიტლერულ გერმანიაში. თქვენ გახსოვთ, რომ ჰიტლერელები მეორე მსოფლიო ომის გაჩაღებისათვის მზადებას აგრეთვე ანტიკომუნისტური პროპაგანდის ხმაურში ეწეოდნენ. მათი აგრესიის პირველი მსხვერპლი გახდნენ სახელმწიფოები, რომლებმაც თავი მოატყუებინეს ამ პროპაგანდით.

დასავლეთ გერმანიის ბუნდესტაგის უკანასკნელ სესიაზე, სადაც განხილული იყო დასავლეთ გერმანიის ატომური და რაკეტული შეიარაღების საკითხი, გაისმოდა მომაბეზრებელი მოწოდებანი — რადაც უნდა დაუჯდეთ მიიღონ ატომური და რაკეტული იარაღი. ეს მოწოდებები ბევრით არაფრით განსხვავდებოდნენ ჰიტლერელთა იმ ისტერიული მოწოდებებისაგან, რომლებიც ერთ დროს გაისმოდა გერმანიის რაიხსტაგში.

ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ დასავლეთ გერმანიის ბუნდესვერის ატომურ შეიარაღებას აქტიურად უწყობენ ხელს ამერიკის შეერთებული შტატები, რომელთა მთავრობა 180 გრადუსით მობრუნდა იმ დროიდან, როცა სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხალხები ერთად იბრძოდნენ გერმანიის აგრესიის წინააღმდეგ, და ახლა თავისი საგარეო პოლიტიკა ევროპის საქმეებში დაუკავშირა გერმანიის მილიტარიზმის აღორძინებას. რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ არის, რომ ადენაუერის მთავრობა ასე ნაჩქარევად აღებინებს ბუნდესტაგს გადაწყვეტილებას ატომური შეიარაღების შესახებ სწორედ მას შემდეგ, რაც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი შტრაუსი ვაშინგტონში იყო. ტყუილად კი არ მოითხოვა საჯაროდ სულ ამ ცოტა ხნის წინათ ნატოს მთავარსარდალმა ამერიკელმა გენერალმა ნორსტადმა, რომ ბუნდესვერი აღიჭურვოს ატომური იარაღით.

ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები აშკარად ცდილობენ რაც შეიძლება მალე გადააქციონ ევროპა ატომგულის იარაღის საწყობად და დასავლეთგერმანელ მილიტარისტებს ხელში აძლევენ ჩირაღდანს, რომლითაც შეიძლება ამ საწყობს ცეცხლი წაუკიდონ.

დასავლეთ გერმანიის ახლანდელ ხელმძღვანელებს თავი ისე მოაქვთ, თითქოს ატომური ბომბებით და რაკეტებით ისინი იძენენ თავიანთი ქვეყნის უშიშროებისა და გერმანიის ერთიანობის აღდგენის საკითხის გადაჭრას. მაგრამ ეს არის იმ ადამიანთა მსჯელობა, რომლებისთვისაც ერთნაირად უცხოა გერმანელთა უშიშროების ინტერესებიც და გერმანელი ერის ერთიანობის ინტერესებიც.

ლაპარაკი „უშიშროების" შესახებ ამ შემთხვევაში სხვა არა არის რა, თუ არა კვამლის საფარი. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას არავინ არაფრით არ ემუქრება, თუმცა მისი ხელმძღვანელები ყველაფერს აკეთებენ, რათა გაამწვავონ ვითარება ევროპაში და პირდაპირ წელებზე ფეხს იდგამენ, რათა თავიანთ ქვეყანას რაც შეიძლება მეტი საფრთხე შეუქმნან. თუ შეიძლება წარმოვიდგინოთ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისათვის უშიშროების რაიმე დიამეტრალურად საწინააღმდეგო, ეს არის სწორედ გამალებული ატომური შეიარაღების გზა, რომელზეც ამ ქვეყანას უბიძგებენ მისი ახლანდელი ხელმძღვანელები. თუ ჩაიფუშა ჰიტლერელთა გეგმები, რომლებსაც იმედი ჰქონდათ სამხედრო ძალით გაენადგურებინათ საბჭოთა კავშირი, მილიონჯერ უფრო ბეცი და ავანტიურისტულია იმათი ახლანდელი ვარაუდი, ვინც დღეს განსაზღვრავს დასავლეთ გერმანიის პოლიტიკას.

ნუთუ ვინმეს სერიოზულად სჯერა, რომ თუ ევროპა ჩაება ატომურ ომში, დასავლეთ გერმანიას, რომელიც ბაზა გახდა ასეთი ომის საწარმოებლად, გადარჩენის რაიმე შანსი ექნება? უფრო სწორი ხომ არ იქნება ვიგულისხმოთ, რომ რაკეტულ-ატომური ომის ცეცხლი გადაუვლის პირველ რიგში დასავლეთ გერმანიის ტერიტორიას.

ხელი გერმანიის მილიტარიზმისა, რომელმაც გააჩაღა სისხლისმღვრელი მსოფლიო ომები, ჩვენი თაობის სიცოცხლეში ორჯერ იქნა მოკვეთილი და გერმანელ ხალხს მოუხდა ძვირად ეზღო თავისი მმართველობის დანაშაულებრივი პოლიტიკა. საეჭვოა ვინმემ უარყოს, რომ თუ დანაშაული მესამეჯერ იქნა ჩადენილი, ზღვევინება განუზომლად უფრო მძიმე იქნება.

რაც შეეხება გერმანიის ერთიანობისადმი მისწრაფებაზე ლაპარაკს, რომელიც თან ახლავს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საომარ მზადებას, ეს ლაპარაკი მთლიანად ფარისევლობაა. ერთი წლის წინათ საბჭოთა მთავრობამ ნათლად გააფრთხილა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა, რომ ბუნდესვერის შეიარაღება ატომური იარაღით და დასავლეთ გერმანიის გადაქცევა ევროპაში ატომური ომის კერად გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებდა გერმანელი ხალხის ეროვნული გაერთიანების საქმეს. ახლანდელ პირობებში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ატომური შეიარაღების გეგმების განხორციელება ნიშნავს, რომ მისი მთავრობა შეგნებულად შეუძლებელს ხდის გერმანიის გაერთიანებას. ყველაფრის მიხედვით, დასავლეთ გერმანიის კანცლერი ადენაუერი და ისინი, ვინც მის პოლიტიკას იზიარებს, ჩქარობენ შეუძლებელი გახადონ ორივე გერმანული სახელმწიფოს დაახლოება და მოლაპარაკება და ამით დახურონ გერმანიის ერთიანობის განხორციელების ერთადერთი დარჩენილი გზა, რომელიც გადის ორივე გერმანული სახელმწიფოს — გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის შეთანხმებაზე. გადაწყვეტილება ატომური ბომბებით და რაკეტებით ბუნდესვერის შეიარაღების შესახებ სამგლოვიარო ზარის რეკვაა გერმანიის ერთიანობისათვის, და ეს თვითეულმა გერმანელმა უნდა იცოდეს.

ამ ფაქტების მიხედვით სავსებით გასაგებია, რომ დასავლეთ გერმანიის ბუნდესვერის ატომური შეიარაღების გეგმები უდიდეს გულისწყრომას იწვევს დასავლეთ გერმანიის მოსახლეობის ფართო წრეებში. პროფკავშირები, ბევრი პოლიტიკური პარტია, ინტელიგენცია, საეკლესიო წრეები მტკიცე პროტესტს აცხადებენ ამ საშიში გეგმების წინააღმდეგ.

გვინდა იმედი ვიქონიოთ, რომ დასავლეთ გერმანიაში ბოლოს და ბოლოს გაიმარჯვებენ ის ძალები, რომლებიც ფხიზლად აფასებენ მდგომარეობას და ესმით, რომ თუ არა სურთ გერმანელი ერის კატასტროფამდე მიიყვანონ საქმე, მისთვის არ არის სხვა გზა, გარდა მშვიდობისა და სხვა ხალხებთან მეგობრობის გზისა. ახლა ჯერ კიდევ არის ამბების საბედისწერო განვითარების თავიდან აცილების შესაძლებლობა.

ამხანაგო დეპუტატებო,

ხანგრძლივი დროის განმავლობაში საბჭოთა მთავრობას არაერთხელ და მთელი სერიოზულობით გაუფრთხილებია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა, თუ რამდენად დამღუპველია მის მიერ აღებული კურსი გერმანიის მილიტარიზმის აღორძინებისა. საბჭოთა მთავრობას აღუნიშნავს ევროპის მშვიდობის საქმისა და არცთუ უკანასკნელ რიგში თვით გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკისათვის საშიში შედეგები, რომლებიც გარდუვალად მოჰყვება დასავლეთ გერმანიის მონაწილეობას ატომური ომისათვის მზადებაში და დასავლეთ გერმანიის არმიის აღჭურვას მასობრივი მოსპობის იარაღით.

პარიზის შეთანხმებათა დადება, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ჩაბმა აგრესიულ სამხედრო ბლოკში ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელობით, უცხოეთის ჯარების მიერ დასავლეთ გერმანიის ოკუპაციის დამკვიდრება, მის ტერიტორიაზე უცხო სახელმწიფოთა ატომური ბაზების შექმნა და, ბოლოს, გადაწყვეტილება ბუნდესვერის ატომური შეიარაღების შესახებ — ასეთი ეტაპებით ვითარდებოდა მოვლენები. ასე თანდათანობით უბიძგებენ დასავლეთ გერმანიას სულ უფრო ახლოს უფსკრულისაკენ. ვერავინ ვერ უსაყვედურებს საბჭოთა კავშირს, რომ მას დროზე არ გაუკეთებია გაფრთხილება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მხრივ ამ თვითმკვლელობის პოლიტიკის საფრთხის შესახებ. საბჭოთა მთავრობას არაერთხელ და სრული სიცხადით გაუფრთხილებია ამის შესახებ დასავლეთ გერმანიის ხელმძღვანელები. ამასვე აცხადებდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა და სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოები, ისევე როგორც თვით დასავლეთ გერმანიის ეროვნული, პატრიოტული წრეები, რომლებიც შეშფოთებული არიან გერმანელი ერის ბედისათვის, მშვიდობისათვის.

მაგრამ ყველა ამ გაფრთხილებაზე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელმძღვანელები, რომლებმაც მტკიცედ დაუკავშირეს თავი ნატოს აგრესიულ გეგმებს, უპასუხებდნენ ბუნდოვანი დამამშვიდებელი ფრაზებით. ისინი ცდილობდნენ საქმე ისე დაესახათ, თითქოს გაფრთხილება უსაგნოა, რომ არავითარი საშიშროება არ არის. ბოლო დრომდე ისინი უარყოფდნენ ბუნდესვერის ატომური შეიარაღების გეგმების არსებობასაც კი. ჯერ კიდევ 1957 წლის ზაფხულში, საბჭოთა მთავრობის ნოტაზე, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობამ განაცხადა, რომ დასავლეთ გერმანიას „არა აქვს რაიმე სახეობის ატომური იარაღი და არ შუამდგომლობს ასეთი იარაღის მიწოდების შესახებ". უკვე მაშინ ნათელი იყო, რომ ამ განცხადებებს მხოლოდ ერთი მიზანი ჰქონდა — შეცდომაში შეეყვანათ მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი, და თვითონ გერმანელებიც, გაეყვანათ ატომური იარაღით დასავლეთ გერმანიის არმიის შეიარაღება რაც შეიძლება შეუმჩნევლად, რათა შემდეგ მოხდარი ფაქტის წინაშე დაეყენებინათ მსოფლიო. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის ახლანდელი მოქმედება სავსებით ადასტურებს ამ შეფასების სამართლიანობას. ეს იყო გერმანელი ხალხისა და სხვა ქვეყნების ხალხთა **შეგნებული მოტყუების** პოლიტიკა.

ახლა აშკარად გამოცხადდა, რომ გადაწყვეტილია ბუნდესვერს მიეცეს ატომური ბომბები და რაკეტები. მართალია, „დამამშვიდებელი" განცხადებანი დღემდე გრძელდება. აცხადებენ, რომ ბუნდესვერი ატომური იარაღით შეიარაღებული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ იქნება შეთანხმება საყოველთაო განიარაღების შესახებ. ასეთი შეთანხმების მიღწევისათვის უკანასკნელი ვადაც კი დანიშნეს — 18 თვე. ასტროლოგიით ხომ არ ხელმძღვანელობდნენ ამ ვადის განსაზღვრის დროს? ვარსკვლავებში ხომ არ ამოუკითხავთ იგი?

ხომ კარგად არის ცნობილი, რომ იმათ, ვინც ცდილობს განიარაღების საკითხების გადაჭრის ბლოკირებას, კანკალს აუტეხს ხოლმე ყოველი წინადადება, რომლის მიზანია განიარაღების პრობლემების კონკრეტული გადაჭრა. მათ შორის უკანასკნელი ადგილი როდი უჭირავს ადენაუერის მთავრობას.

ზოგი ვინმე ცდილობს ისე დასახოს საქმე, თითქოს გადაწყვეტილება დასავლეთ გერმანიის ატომური შეიარაღების შესახებ არ წარმოადგენდეს „განსაკუთრებულ რამეს", რომ ეს არის ნატოს ერთ-ერთი მორიგი ღონისძიება, რომელსაც მსოფლიო უკვე შეეჩვია, და ამიტომ არ არის საფუძველი განსაკუთრებული შეშფოთებისთვისო. არა, ეს ასე არ არის. გადაწყვეტილებას ატომური იარაღით ბუნდესვერის შეიარაღების შესახებ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც მოსპობის ამ იარაღს ხელში აძლევენ იმ ძალებს, რომლებმაც გააჩაღეს მეორე მსოფლიო ომი, რამაც ათეულ მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

ადვილი მისახვედრია შეშფოთება, რომელსაც ეს ნაბიჯი იწვევს ევროპის ქვეყნებში, და უწინარეს ყოვლისა გერმანიის მეზობელ სახელმწიფოებში. შესაძლოა დღეს ჯერ კიდევ ყველგან არა ჰქონდეთ შეგნებული იმის საშიშროება, რაც ხდება. ჰიტლერიზმის საფრთხესაც ხომ ერთბაშად ვერ ხედავდა ყველა. მაგრამ საფრთხე ამის გამო ნაკლები არ ხდება, და საბჭოთა კავშირს თავის მოვალეობად მიაჩნია მიუთითოს მასზე. ამას იგი იმიტომ როდი აკეთებს, რომ ეშინია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ატომური შეიარაღებისა. საბჭოთა კავშირს ყველაფერი აქვს, რაც კი საჭიროა, რათა ჩაახშოს აგრესია, საიდანაც უნდა მომდინარეობდეს იგი, და გაანადგუროს აგრესორები. და თუ სსრ კავშირის მთავრობა შეშფოთებას გამოთქვამს და გაფრთხილებას იძლევა დასავლეთ გერმანიის ატომური შეიარაღების წინააღმდეგ, ამას იმიტომ შვრება, რომ კარგად აქვს შეგნებული, თუ რა საფრთხეს უქმნის ასეთი შეიარაღება ევროპის მშვიდობას.

არ შეიძლება არ შევჩერდეთ იმ როლზე, რომელსაც მთელ ამ საქმეში ასრულებენ ინგლისი და საფრანგეთი, რომელთა მთავრობებიც დათანხმდნენ იმაზე, რომ დასავლეთ გერმანიის არმია შეიარაღებულ იქნას ატომური და რაკეტული იარაღით.

ინგლისისა და საფრანგეთის ხალხები დიდხანს შეჰყავდათ შეცდომაში დამამშვიდებელი ლაპარაკით დასავლეთ გერმანიის შეიარაღებისადმი რაღაც „კონტროლის" შესახებ. ამბობდნენ, მაგალითად: დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, ფრანგებო და ინგლისელებო, — დასავლეთი გერმანია ისეთ კონტროლქვეშ იქნება, რომ მას ნებას არ მისცემენ იქონიოს არც ატომური ბომბები, არც რაკეტები. საბჭოთა კავშირი უკვე მაშინ იძლეოდა გაფრთხილებას, რომ ამ განცხადებებს რაღაც შეზღუდვების შესახებ აკეთებენ ხალხების თვალისასახვევად, მოსატყუებლად. რა ხდება ამჟამად? ბუნდესტაგის 25 მარტის გადაწყვეტილება ყველა გზას ხსნის დასავლეთგერმანელი მილიტარისტების ატომური შეიარაღებისათვის.

უადგილო არ იქნება დავუსვათ კითხვა იმ მოღვაწეებს, რომლებიც 1954-1955 წლების პარიზის შეთანხმებათა დადების პერიოდში განსაკუთრებით ცდილობდნენ მიეძინებინათ ფრანგები დამამშვიდებელი განცხადებებით, ურჩევდნენ რა მათ დასავლეთ გერმანიისადმი კონტროლს დაენდეთო, — სად არის თქვენი კონტროლი დღეს? ნუთუ ამ მოღვაწეებს ნამდვილი ვითარების დასანახავად მხოლოდ მაშინ აეხილებათ თვალი, როცა ბუნდესვერის ჯარისკაცები კვლავ გატკეპნიან თავიანთი ჩექმებით პარიზის ქვაფენილებს?

ნატოს დასავლეთევროპელ მონაწილეებს დღეს ამშვიდებენ განცხადებებით, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა თავისი ატომური იარაღის გამოყენებას შეძლებს მხოლოდ ნატოს სარდლობის, ე. ი. ამერიკელი გენერლების სანქციით. საეჭვოა, რომ ეს დიდად ანუგეშებდეს ინგლისელებს ან ფრანგებს, ბელგიელებს ან ნორვეგიელებს. კარგი გეგმა კია, რომლის დროსაც მსოფლიო ატომური ომის გაჩაღების საკითხის გადაჭრას ფაქტიურად ხელში აძლევენ ყოფილ ჰიტლერელებს და ამერიკელ გენერლებს!

ისინი, ვინც ახლა აჩქარებს დასავლეთ გერმანიის არმიის ატომურ შეიარაღებას, კისრულობს მით უფრო მძიმე პასუხისმგებლობას ხალხთა წინაშე, რომ ეს ხდება იმ პერიოდში, როცა სახელმწიფოთა შორის მოლაპარაკება წარმოებს უმაღლეს დონეზე სახელმწიფოთა თათბირის მოწვევის შესახებ. ხალხები მოელიან ამ თათბირს, რადგან მხურვალედ იმედოვნებენ, რომ მას მოჰყვება საერთაშორისო დაძაბულობის შენელება, ომის საფრთხის შენელება და იგი დასაბამს მისცემს გამალებული შეიარაღების შესაწყვეტად პრაქტიკულ ღონისძიებათა განხორციელებას. თუ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ატომური შეიარაღება ფაქტი გახდა, ეს გარდუვალად შექმნის ახალ დაბრკოლებას იმაში, რომ სახელმწიფოებმა შეთანხმებას მიაღწიონ განიარაღების საკითხზე, და პასუხისმგებლობა ამისათვის, როგორც კაენის დაღი, დაეკისრება დასავლეთ გერმანიის მთავრობას და იმ ქვეყნების მთავრობებს, რომლებიც მას აქეზებენ ასეთი ნაბიჯის გადასადგმელად.

საბჭოთა კავშირი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა და ყველა სოციალისტური სახელმწიფო, აგრეთვე სხვა დამოუკიდებელი ქვეყნები, რომლებიც მტკიცედ ახორციელებენ სამშვიდობო პოლიტიკას, თანმიმდევრულად ესწრაფვიან საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას და ომის საფრთხის შემცირებას. სსრ კავშირი თავისი მტკიცე ბრძოლით უმაღლეს დონეზე სახელმწიფოთა თათბირის მოწვევისათვის და თავისი პრაქტიკული ნაბიჯებით შეიარაღებული ძალების შემცირების დარგში, ხოლო ახლა ატომგულის იარაღის გამოცდის ცალმხრივი შეწყვეტით, რის შესახებაც ახლა დასმულია საკითხი უმაღლესი საბჭოს წინაშე, ცხადყოფს იმის მაგალითს, თუ როგორ შეიძლება აქტიურად ბრძოლა მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის.

ჩვენ ყველანი დიდი კმაყოფილებით ვხვდებით მტკიცე საპროტესტო განცხადებებს ატომური და რაკეტული იარაღით დასავლეთ გერმანიის არმიის შეიარაღების წინააღმდეგ, რაც გააკეთეს გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, პოლონეთმა, ჩეხოსლოვაკიამ და სხვა სოციალისტურმა ქვეყნებმა, რომლებსაც სავსებით შეგნებული აქვთ დასავლეთგერმანელ მილიტარისტთა და მათ ოკეანესგაღმელ მფარველთა გეგმების მთელი საშიშროება ევროპის მშვიდობის საქმისათვის. შეიძლება დარწმუნებული ვიყოთ, რომ სსრ კავშირი და სხვა სახელმწიფოები — ვარშავის თავდაცვითი ხელშეკრულების მონაწილენი — გააკეთებენ ჯეროვან პრაქტიკულ დასკვნებს და მიიღებენ საჭირო ღონისძიებებს, რომლებიც გამომდინარეობენ შექმნილი მდგომარეობიდან.

მტკიცე მშვიდობისათვის ბრძოლა საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის მთავარ მიზნად რჩება. სწორედ ამ მიზნით, უაღრესად ჰუმანური ზრუნვით ყველა ქვეყნის ადამიანებისათვის, მშვიდობის ბედისათვის ნაკარნახევია საბჭოთა მთავრობის წინადადება საბჭოთა კავშირის მიერ ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის ცალმხრივი შეწყვეტის შესახებ.

ნება მიბოძეთ, ამხანაგო დეპუტატებო, გამოვთქვა რწმენა, რომ ამ წინადადებას მხარს დაუჭერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო. შეიძლება ეჭვი არ ვიქონიოთ, რომ ყველა ხალხი დიდად დააფასებს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ამ ახალ ქმედით წვლილს მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების დიად საქმეში.

დასასრულ ამხ. ა. ა. გრომიკომ საბჭოთა მთავრობის დავალებით გამოაქვეყნა პროექტი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებისა ამ საკითხზე.

**(ამხ. ა. ა. გრომიკოს გამოსვლის დროს არაერთხელ გაისმოდა ტაში).**

# ქართული ეროვნული კულტურის ზეიმი

## ცენტრალური პრესა ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის შესახებ

ცენტრალური გაზეთების ფურცლებს ჩვენი ვრცელი სამშობლოს ყველა კუთხეში მიაქვს ქართული სიმღერისა და ცეკვის, თეატრალური ხელოვნების, მხატვრობისა და მწერლობის ჰირუთვნელი შეფასება.

**ПРАВДА**

გაზეთი „პრავდა" 29 მარტის ნომერში ბეჭდავს სადეკადო მიმოხილვას, რომელშიც ეხება ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სპექტაკლ „ოტელოს", რუსთაველის სახელობის თეატრის დადგმას „ესპანელ მღვდელს", მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სპექტაკლს „მარინეს" და გრიბოედოვის სახელობის თეატრის დადგმას „ხევისბერ გოჩას", რომლებიც უკვე მეორედ და მესამედ ნახეს მოსკოველმა მაყურებლებმა.

„როგორც ყოველთვის, კვლავ მრავალი მაყურებელი მიიზიდა საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის კონცერტმა. მის მიერ შესრულებულმა „მხედრულმა", „ქართულმა", „ფარიკაობამ" და სხვა ცეკვებმა აღტაცებაში მოიყვანა მოსკოველები. ქარხანა „სერპ ი მოლოტის" კულტურის სახლში გამოვიდა ხალხური ცეკვისა და სიმღერის დამსახურებული ანსამბლი კომპოზიტორ ცაგარეიშვილის ხელმძღვანელობით. ლირიზმითა და სილამაზით აღსავსე შესანიშნავმა ქართულმა ხალხურმა სიმღერებმა და ცეცხლოვანმა ცეკვებმა, მაყურებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა.

მეგობრობისა და მხურვალე გულითადობის ატმოსფეროში ჩაიარა ქართველი მხატვრებისა და არქიტექტორების შეხვედრებმა მათს მოსკოველ კოლეგებთან.

სადაც კი იყვნენ მზიური საქართველოს წარმომადგენლები, მოსკოველები ყველგან ძმური გულითადობით ხვდებოდნენ მათ", — წერს გაზეთი.

30 მარტის ნომერში „პრავდა" ბეჭდავს სსრ კავშირის სახალხო არტისტის, ლენინური პრემიის ლაურეატის გალინა ულანოვას საინტერესო წერილს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სპექტაკლ „ოტელოზე".

31 მარტის ნომერში გაზეთი „პრავდა" საერთო სათაურით „ქართველ მსახიობთა კონცერტები" აქვეყნებს წერილებს რსფსრ სახალხო არტისტის პროფესორ რ. ზახაროვისა — „ხალხური ცეკვის პოეზია", აგრეთვე რსფსრ და ლიტვის სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის მ. კოვალისა — „თვითმყოფი ხელოვნება".

რ. ზახაროვის წერილი ეხება საქართველოს ხალხური ცეკვის დამსახურებულ ანსამბლს. „საბჭოთა კავშირის ტრადიციებითა და მიღწევებით მდიდარ, მრავალფეროვან ხალხურ ქორეოგრაფიაში ქართულ ცეკვებს საპატიო ადგილი უჭირავს... საქართველოს ხალხური ცეკვის დამსახურებული ანსამბლი (მხატვრული ხელმძღვანელები საქართველოს სსრ სახალხო არტისტები ნ. რამიშვილი და ი. სუხიშვილი) ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო საცეკვაო ანსამბლია. ის ფართოდ არის ცნობილი არა მარტო ჩვენში, არამედ საზღვარგარეთაც", — წერს ავტორი.

საქართველოს სიმღერისა და ცეკვის დამსახურებული ანსამბლის და საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის საკონცერტო გამოსვლებს ეხება მ. კოვალის წერილი.

ამავე ნომერში დაბეჭდილია დეკადის დღიური.

**ИЗВЕСТИЯ**

გაზეთი „იზვესტია" 29 მარტის ნომერში აქვეყნებს ვ. კომისარჟევსკის რეცენზიას მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სპექტაკლ „გზაჯვარედინზე" სათაურით „როცა ცოცხლდებიან ისტორიის ფურცლები". რეცენზენტი კარგ შეფასებას აძლევს სპექტაკლს, მთავარი როლების შემსრულებლებს ვ. გოძიაშვილს, გ. შავგულიძეს, ი. ტრიპოლსკის. რეცენზენტი წერს: „თეატრალურობა და სიმართლე — სწორედ ამისაკენ ისწრაფოდა სპექტაკლის დამდგმელი ვ. ტაბლიაშვილი, და ამ მხრივ მისი ერთგული მოკავშირეები იყვნენ მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობები, რომელთა შორის, ზემოთ დასახელებულთა გარდა, საჭიროა აღინიშნოს მსახიობი ა. ომიაძე ძველი მედროშის ბერუჩას როლში და მსახიობი ზ. გომელაური, რომელმაც საქართველოს ვერაგი და საშიში მტრის პატრი ნიკოლას შესანიშნავი სახე შექმნა". დასასრულ რეცენზიის ავტორი წერს: „ლევან გოთუას პიესამ „გზაჯვარედინზე" საქართველოს მატიანეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საინტერესო ფურცელი გაგვაცნო. სპექტაკლმა ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა, რომ მარჯანიშვილის სახელობის თეატრი მტკიცედ მიდის საბჭოთა სცენის იმ ნიჭიერი მხატვრის მიერ ნაჩვენები გზით, რომლის სახელსაც სამართლიანად ატარებს".

30 მარტის ნომერში გაზეთი „იზვესტია" ბეჭდავს დეკადის დღიურს სათაურით „დიდი წარმატება". დღიურში აღნიშნულია ის სპექტაკლები, რომლებიც თბილისის თეატრებმა დეკადის ბოლო დღეებში აჩვენეს, დ. თორაძის ოპერა „ჩრდილოეთის პატარძალი", გ. ქელბაქიანის „ახალგაზრდა მასწავლებელი" უ. შექსპირის „რიჩარდ III" და ნ. ლესკოვის „გამფლანგველი".

გაზეთი წერს: „მოსკოვის კინემატოგრაფიის მუშაკები კინოს სახლში მეგობრულ ვითარებაში შეხვდნენ ქართველ კინომოღვაწეებს.

დიდი წარმატებით გამოვიდა საქართველოს სახელმწიფო კაპელა ახალგაზრდა ლოტბარის ჯანსუღ კახიძის ხელმძღვანელობით ხელოვნების მუშაკთა ცენტრალურ სახლში.

პოლიტექნიკური მუზეუმის დარბაზში მსმენელებმა გულთბილად მიიღეს საქართველოს სახელმწიფო კვარტეტის კონცერტი".

**КОМСОМОЛЬСКАЯ ПРАВДА**

„კომსომოლსკაია პრავდის" 30 მარტის ნომერში დაბეჭდილია სადეკადო მიმოხილვა სათაურით „ეფექტურობა, სილამაზე, თავისებურება". ქართული ცირკის შესახებ გაზეთი წერს: „მაღალი მუსიკალური და საცეკვაო კულტურა, სხარტი ხალხური იუმორი და მდიდარი სპორტული ტრადიციები დაედო საფუძვლად ამ შესანიშნავ საცირკო სანახაობებს... ეროვნული კოლორიტით არის შეფერილი ქართული ცირკის მსახიობთა მრავალჟანროვანი საინტერესო წარმოდგენა".

მიმომხილველი აღნიშნავს, რომ ქართული სახვითი ხელოვნების გამოფენამ სამხატვრო აკადემიის დარბაზში მნახველთა დიდი ინტერესი გამოიწვია. „მნახველები დიდხანს ჩერდებიან მხატვრულ ტილოებთან და სკულპტურულ ნამუშევრებთან, რომლებშიც ნიჭიერად არის ასახული საქართველოს მძიმე ისტორიული წარსული, მისი დღევანდელი სოციალისტური სინამდვილე და სამშობლოს გარდამქმნელი მშრომელი ადამიანები", — წერს გაზეთი.

**ЛИТЕРАТУРНАЯ ГАЗЕТА**

26 მარტის ნომერში „ლიტერატურნაია გაზეტა" ბეჭდავს სსრ კავშირის მწერალთა კავშირში ჩატარებული ქართული პროზის განხილვის ანგარიშს, რომელიც ეხება კ. გამსახურდიას, ა. ბელიაშვილის, კ. ლორთქიფანიძის, ს. კლდიაშვილის, დ. შენგელაიას, ი. ლისაშვილის, ა. ქეიშვილის, ლ. ავალიანის, ს. თავაძის, რ. ჯაფარიძის, თ. დონჯაშვილის და სხვათა ნაწარმოებებს. „ქართულ პროზას საბჭოთა ლიტერატურაში საკუთარი და მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ქართული პროზის განვითარება, თანამედროვე თემების ასახვა მთელი საბჭოთა ლიტერატურის განვითარების მთავარი ხაზით მიმდინარეობს", — წერს გაზეთი.

აქვეა დაბეჭდილი ვ. შიტოვას ვრცელი წერილი სათაურით „როცა თეატრი იმარჯვებს", რომელიც ეხება რუსთაველის სახელობის თეატრის სადეკადო სპექტაკლებს. ავტორი ლაპარაკობს თეატრის ტრადიციებზე, რომლებიც დაკავშირებულია გამოჩენილი რეჟისორების კ. მარჯანიშვილის და ს. ახმეტელის სახელებთან.

„რუსთაველის სახელობის თეატრმა ყოველთვის უნდა გაიმარჯვოს! გამარჯვებისაკენ მას გზა ხსნილი აქვს. ეს გზა თეატრის შესანიშნავი ტრადიციების განვითარებაა", — წერს რეცენზიის ავტორი.

აქვეა მოთავსებული მ. მაჭავარიანის ლექსი, თარგმნილი რუსი პოეტის ე. ევტუშენკოს მიერ.

**СОВЕТСКАЯ КУЛЬТУРА**

29 მარტის ნომერში „სოვეტსკაია კულტურა", მეოთხე გვერდს უძღვნის ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადას. გაზეთში დაბეჭდილია რსფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ნ. გორჩაკოვის რეცენზია მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სპექტაკლზე „რიჩარდ III". რეცენზენტი დაწვრილებით განიხილავს სპექტაკლს და მაღალ შეფასებას აძლევს რეჟისორ ვ. ყუშიტაშვილის, მხატვარ ი. სუმბათაშვილისა და მთავარი როლის შემსრულებლის ვ. გოძიაშვილის ოსტატობას. „ამ ურთულესი ხასიათის მრავალი მხარე სრულყოფილად აქვს დაძლეული შესანიშნავ მსახიობს ვ. გოძიაშვილს", — ნათქვამია რეცენზიაში.

რ. იურენევის რეცენზია „ოთარაანთ ქვრივზე" დაწვრილებით განიხილავს კინოსტუდია „ქართულ ფილმის" ახალ კინოსურათს. გაზეთში მოთავსებულია აგრეთვე მ. ტეროგანიანის რეცენზია ოპერა „ჩრდილოეთის პატარძალზე" და გ. ოსიპოვის წერილი „შეხვედრები მოსკოველებთან".

გაზეთის ამავე ნომერში მოთავსებულია ვ. გოძიაშვილის ფოტო რიჩარდ III როლში და ქართველ მოცეკვავეთა სურათი. წარწერით — „ქართული სასიმღერო და საცეკვაო ფოლკლორი საოცრად მდიდარი და მრავალფეროვანია".

**ТРУД**

30 მარტის ნომერში გაზეთი „ტრუდი" ბეჭდავს ა. გონჩაროვის წერილს მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სპექტაკლებზე „რიჩარდ III" და „ესკადრის დაღუპვა" სათაურით „შთაგონებული შემოქმედება". „სპექტაკლი „ესკადრის დაღუპვა" შექმნილია მგზნებარე რეჟისორული და აქტიორული შთაგონებით. როგორც „რიჩარდ III" დადგმა, ისიც ნათლად მეტყველებს მარჯანიშვილის სახელობის ქართული თეატრის კოლექტივის თვითმყოფ ნიჭიერებაზე", — წერს რეცენზენტი.

**ГУДОК**

გაზეთი „გუდოკი" 30 მარტის ნომერში სათაურით „მეგობრული შეხვედრა" ათავსებს მოსკოველ რკინიგზელებთან დეკადის მონაწილეთა შეხვედრის ანგარიშს. რკინიგზელთა ცენტრალური სახლის დარბაზში ისმოდა გულის სიღრმიდან მომდინარე მისასალმებელი სიტყვები, რუსულ და ქართულ ენებზე ჟღერდა ლექსები და სიმღერები, ყველაფერში იგრძნობოდა დიადი მეგობრობის გამომხატველი დიდი ადამიანური სითბო. ერთმანეთს ცვლიდნენ პოეტები, პროზაიკოსები, კრიტიკოსები, არტისტები, მუსიკოსები. ისინი კიდევ უფრო აფართოებდნენ ჩვენს წარმოდგენას ქართულ ლიტერატურასა და ხელოვნებაზე, — წერს გაზეთი.

## საქართველოს სახელმწიფო კვარტეტი დეკადაზე

ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის დღეებში დიდი წარმატებით იმართება კონცერტები, რომლებშიც მონაწილეობენ ქართული ვოკალური და ქორეოგრაფიული ანსამბლები, საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი, კაპელა, საესტრადო ბრიგადები. დედაქალაქის ქარხნებიდან და ფაბრიკებიდან, საშუალო და უმაღლესი სასწავლებლებიდან, სამხედრო ნაწილებიდან და მოსკოვის ოლქის კოლმეურნეობებიდან დეკადის შტაბს ყოველდღე მოსდის განაცხადები, რომლებითაც ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის მონაწილე კოლექტივებსა და ცალკეულ შემსრულებლებს იწვევენ კონცერტების გასამართავად.

მრავალი მაყურებელი ესწრება კონცერტებს, რომლებშიც მონაწილეობს საქართველოს სახელმწიფო კვარტეტი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ბ. ჭიაურელის, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის გ. ბარნაბიშვილის, მსახიობების ა. ბეგალიშვილისა და გ. ხატიაშვილის შემადგენლობით. ეს კვარტეტი ათი წლის წინათ ჩამოაყალიბეს თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მაშინდელმა სტუდენტებმა და მას შემდეგ იგი საბჭოთა მაყურებლის დიდი სიყვარულითა და მოწონებით სარგებლობს. კვარტეტის წევრებმა სტალინური პრემიის ლაურეატის საპატიო წოდება დაიმსახურეს.

საქართველოს სახელმწიფო კვარტეტი შესრულების შთაგონებული, მაღალპროფესიული, დახვეწილი ოსტატობით მოსკოველ მაყურებლებში დიდი პოპულარობით სარგებლობს. მოსკოვის კონსერვატორიის მცირე დარბაზში და კავშირების სვეტებიან დარბაზში კვარტეტი მაყურებლის წინაშე წარდგა გაფართოებული პროგრამით.

კვარტეტის მიერ შესრულებულ ყოველ ნომერს მაყურებელი ხანგრძლივი ტაშით ხვდებოდა.



სურათზე: საქართველოს სახელმწიფო კვარტეტის კონცერტი კავშირების სვეტებიან დარბაზში.

## ოპერა „ჩრდილოეთის პატარძლის" წარმატება

უკრაინელი მწერლები, რომლებმაც მოვისმინეთ დ. თორაძის ახალი ოპერა „ჩრდილოეთის პატარძალი", ღრმად აღელვებულნი ვართ. პოეტ ი. ნონეშვილთან და ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის მთელ შესანიშნავ კოლექტივთან ერთად კომპოზიტორმა დ. თორაძემ შეძლო შეექმნა მეტად მუსიკალური, ღრმა ლირიზმით აღსავსე სპექტაკლი.

ჩემზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა რუსი ხალხის გამოჩენილი შვილის ა. გრიბოედოვის და მშვენიერი ქართველი ქალის ნინოს სცენიურმა და ვოკალურმა განსახიერებამ ბ. კრაველიშვილისა და ა. კუზნეცოვას მიერ. გრიბოედოვისა და ნინოს სიყვარული რუსეთ-საქართველოს საუკეთესო შვილების მეგობრობის, კეთილშობილური ურთიერთობის სიმბოლოა.

ჩემი სურვილია, რომ ქართული საოპერო ხელოვნების შესანიშნავი ნიმუშები განხორციელდეს მოძმე უკრაინის სცენებზე, რომელთანაც ქართველ ხალხს ასეთი მტკიცე, ურღვევი მეგობრობა აკავშირებს.

**ოლექსა ნოვიცკი,**
უკრაინელი პოეტი.

* * *

ღრმა გრძნობით მოვისმინე დ. თორაძის ახალი ოპერა „ჩრდილოეთის პატარძალი", რომელიც ერთხელ კიდევ მოწმობს ამ ახალგაზრდა კომპოზიტორის უდავო ნიჭსა და შემოქმედების ფართო დიაპაზონს. განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ ოპერის ყველა ნაწილი ორგანულად შერწყმულია ერთმანეთთან. შესანიშნავი ხელოვნებით დაწერილია მუსიკა გუნდისათვის. ერთნაირად კარგად ჟღერს გუნდის ორკესტრირება. ლირიული და დასამახსოვრებელია გრიბოედოვისა და ნინოს სცენა მეორე მოქმედების პირველ სურათში, წარმტაცია ოპერის ფინალი.

საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ს. ქობულაძის მხატვრობა ქართული ხელოვნების განვითარების დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

**დ. კაბალევსკი,**
კომპოზიტორი.

* * *

მოვიხიბლე ქართული მუსიკის მელოდიურობითა და ორკესტრის მშვენიერი ჟღერადობით კომპოზიტორ დ. თორაძის ახალ ოპერაში „ჩრდილოეთის პატარძალი". მუსიკა მკვეთრად განაპირობებს ოპერის ეროვნულობას. ოპერის ყველა გმირი ერის მიწაზე დგას. „ჩრდილოეთის პატარძალის" პერსონაჟები მაყურებელში დიდი სიმპათიის გრძნობას იმსახურებენ. უსმენ ამ შესანიშნავ ოპერას, და გავიწყდება, რომ თეატრში ხარ. შორდები სცენის პირობითობას. მოქმედებას ცოცხალ სინამდვილეში გადაჰყავხარ, ოპერის გმირებთან ერთად შენც გეუფლება სიხარულიც და მწუხარებაც. მისასალმებელია, რომ მსახიობებსა და მთელ გუნდს ერთიან ანსამბლში აღიქვამ.

„ჩრდილოეთის პატარძალში" ყველაფერი გხიბლავს — მუსიკა, დადგმა, ლიბრეტო, მხატვრობა. თქვენთან ერთად მიხარია ოპერის დიდი წარმატება. დარწმუნებული ვარ, რომ ეს შესანიშნავი ოპერა, რუსულ ენაზე თარგმნილი, დაიპყრობს ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა სცენას.

**ბ. ტერენტიევი,**
კომპოზიტორი.



საქართველოს სახვითი ხელოვნების სადეკადო გამოფენა მოსკოვში. სურათზე: მხატვარი ვ. კეშელავა, რსფსრ სახალხო მხატვარი მ. მანიზერი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ს. კაკაბაძე, რსფსრ სახალხო მხატვარი ფ. რეშეტნიკოვი.

(საკდესის ფოტოქრონიკა).

## მხურვალე სიყვარულით გარემოსილნი

მოსკოვი, 31 მარტი. (ჩვენი საკ. კორესპონდენტებისაგან). ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადა მთავრდება. ძნელია გადმოცემა იმ დიდი აღტაცებისა და სიხარულისა, ამაღელვებელი მეგობრული გრძნობებისა და სიყვარულისა, რომლითაც გარემოსილნი იყვნენ ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის მონაწილენი მოსკოვში. სპექტაკლებზე და ლიტერატურულ საღამოებზე, კონცერტებზე, წარმოების მუშებთან, ინტელიგენციასთან შეხვედრის დროს მასპინძლები ამჟღავნებდნენ ნამდვილ ძმურ სიყვარულს ქართული კულტურისადმი. ამ სიყვარულმა, მოსკოველთა შეუნელებელმა ყურადღებამ დიდად შეუწყო ხელი დეკადის მონაწილეებს სრულყოფილად, მაღალი მხატვრული ოსტატობით ეჩვენებინათ თავიანთი შემოქმედება. ზოგიერთი სპექტაკლი ნაჩვენები იქნა მესამედ, მეოთხედ, მეხუთედ, და მაინც დარბაზებში ტევა არ იყო. თეატრების სალაროებთან რიგი არ შეწყვეტილა. დეკადის დღეებში ტელევიზორების მფლობელებს განსაკუთრებით გაუმრავლდათ სტუმრები. რადიოთი ყოველდღე კვლავ გაისმის მომხიბლავი ქართული მელოდიები, ქართული ლექსები, ნაწყვეტები პოემებიდან, რომანებიდან. ქუჩებში, მოედნებზე, დრამატული, საოპერო თეატრებისა და კინოთეატრების ფასადებზე ელვარებს ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების ემბლემა, ფრიალებენ საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სახელმწიფო ალმები.

კვირას, 30 მარტს, რუსთაველის სახელობის თეატრმა მაყურებელს ერთ დღეში სამჯერ უჩვენა სოფოკლეს ტრაგედია „ოიდიპოს მეფე". დილის სპექტაკლზე ოიდიპოსის როლს ასრულებდა ე. მანჯგალაძე, დღისით ს. ზაქარიაძე, საღამოს ა. ხორავა.

— სამი ოიდიპოსი ერთ თეატრში! პირველი, მანჯგალაძე — ჰეროიკა ანტიკური კულტურისა, თავისი ბრწყინვალე შესრულებით; მეორე, ზაქარიაძე — მოუსვენარი, მგზნებარე, ტემპერამენტიანი მემატიანე სოფოკლეს ტრაგედიისა, მომხიბლავი თავისი განცდებითა და ტრაგიზმით, ხოლო მესამე, ხორავა — მონუმენტური ქანდაკება ოიდიპოსისა, სულჩადგმული და აღლერებული გენიალური ანტიკური მოქანდაკის მიერ. ვაშა ასეთ თეატრს, ასეთ ერს! — ასე გადმოგვცა თავისი განცდები სამივე სპექტაკლის ნახვის შემდეგ ცნობილმა მსახიობმა, პროფესორმა დ. ბეჟოვმა(?). და მართლაც, რა დიდი სიყვარულით, პასუხისმგებლობის დიდი გრძნობით მიჰყავდა ეს რთული როლი სამივე ხელოვანს. ეს სპექტაკლები ქართული თეატრის ხელოვნების ნამდვილი ზეიმი იყო. მაყურებელი არა მარტო ხანგრძლივი ტაშის გრიალით გამოხატავდა თავის გრძნობებს, არამედ მხურვალედ მიესალმებოდა სპექტაკლის მონაწილეებს, მთელ ქართველ ხალხს.

რუსთაველის და მარჯანიშვილის სახელობის თეატრებში უკვე მოეწყო წარმოდგენილი სპექტაკლების განხილვა, რომელსაც სსრ კავშირის თეატრალური საზოგადოება აწყობს. ამ განხილვაში მონაწილეობენ საუკეთესო შემოქმედებითი ძალები, პროფესორები, შექსპიროლოგები, ანტიკური კლასიკური ლიტერატურისა და ხელოვნების ცნობილი მკვლევარნი.

30 მარტს მოსკოვის ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზში სსრ კავშირის მწერალთა კავშირმა და საქართველოს მწერალთა კავშირმა მოაწყეს ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის ლიტერატურული ნაწილის შემაჯამებელი საღამო.

დარბაზი მაყურებლებით არის სავსე. სცენაზე ადიან ცნობილი ქართველი და რუსი მწერლები, მოძმე რესპუბლიკების მწერალთა ორგანიზაციების წარმომადგენლები, ხელოვნების მუშაკები.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა გამოჩენილმა რუსმა პოეტმა კ. სიმონოვმა, რომელმაც მაღალი შეფასება მისცა თანამედროვე ქართულ მწერლობას და უსურვა მას ახალი წარმატებანი ხალხის საკეთილდღეოდ, კომუნისტური საზოგადოების გამარჯვებისათვის ბრძოლაში. საღამოზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ი. დოლიძემ. აღნიშნა რა დეკადაზე ქართველი მწერლების შემოქმედებითი წარმატებანი, ორატორმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, მთელი ქართველი ხალხის სახელით მადლობა გადაუხადა საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს იმ დიდი ყურადღებისა და მზრუნველობისათვის, რომლითაც გარემოსილია ჩვენი დიადი სამშობლოს მრავალეროვან ძმურ ოჯახში ქართველი ხალხი, მისი კულტურა. სიტყვები წარმოთქვეს და ლექსები წაიკითხეს ს. შანშიაშვილმა, გ. ლეონიძემ, კ. გამსახურდიამ, მაყვალა მრევლიშვილმა, ი. ნონეშვილმა, რ. ჩაჩაევმა(?), მ. ქვლივიძემ, მ. რილსკიმ, ი. თარბამ, ე. ევტუშენკომ, ე. ვინოკუროვმა, მ. მაქსიმოვმა.

გალაკტიონ ტაბიძის, ტიციან ტაბიძის, ს. ჩიქოვანის, ი. აბაშიძის, გ. აბაშიძის, ა. მირცხულავას, კ. კალაძის, ხ. ბერულავას ლექსები წაიკითხეს მოსკოვის თეატრების მსახიობებმა და ამ ლექსების მთარგმნელმა პოეტებმა. კ. სიმონოვმა წაიკითხა ხაკასეთის პოეტის დ. დომოზაკოვის ექსპრომტად დაწერილი ლექსი, მიძღვნილი ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის მონაწილეებისადმი.

დასასრულ გაიმართა დიდი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრისა და საქართველოს ფილარმონიის სოლისტებმა, აგრეთვე საქართველოს ხალხური ცეკვის დამსახურებულმა ანსამბლმა.



სადეკადო სუვენირების გაყიდვა მოსკოვში. — ფოტო ფ. კრიმსკისა.

## „ოტელო"

### თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სპექტაკლი

„ოტელო" უჩვეულო, საინტერესო, გაბედული ბალეტია. მან, როგორც იტყვიან, „აღაგზნო ადამიანთა გონება". მის შესახებ აქვე, თეატრის დარბაზში, ფოიეში დავობენ, მხურვალედ და გატაცებით მსჯელობენ. მუდამ ასეა ხოლმე, როცა ნაწარმოები მნიშვნელოვანია. ჩვენს ხელოვნებას ეს დავა ესაჭიროება, როგორც ჰაერი, იგი ხელს უწყობს ბალეტის ზრდასა და სრულყოფას, აღვიძებს ოსტატთა შემოქმედებითს აზრს.

ბალეტმა ამაღელვა და მომხიბლა ბევრი ღირსებით. მასში ძალუმად ჟღერს შექსპირის თემა, რომელიც თავისებურად და ამასთან დამაჯერებლად არის გამოხატული. ამ სპექტაკლს, მსახიობის სიტყვებით რომ ვთქვათ, აქვს თავისი სული, თავისი განუმეორებელი მხატვრული სახე, მკაფიო სცენიური ფორმა. მე ვნახე შეწყობილი აქტიორული ანსამბლი, რომელშიც უწინარეს ყოვლისა უნდა გამოიყოს მთავარი როლის შესრულება ვახტანგ ჭაბუკიანის მიერ.

მე დიდიხანია, ჯერ კიდევ ჩვენი ერთად სწავლის დროიდან, ვიცნობ ამ ნიჭიერ მსახიობს, მუდამ ყურადღებით ვადევნებდი თვალს მის შემოქმედებას. უკანასკნელ წლებში იგი ცხოვრობდა და მუშაობდა თბილისში და ბევრი რამ გააკეთა ეროვნული საბალეტო სკოლის ჩამოყალიბებისათვის: დადგა მთელი რიგი საინტერესო სპექტაკლები, აღზარდა ნიჭიერი მსახიობები. „ოტელოში" მისი წარმატება მომზადებული იყო ჭაბუკიანის როგორც მოცეკვავისა და ბალეტმეისტერის მთელი წინა მოღვაწეობით. ეს როლი მე მეჩვენება მის უმაღლეს შემოქმედებით მიღწევად. აქ ყველაფერი ბედნიერად და სრულად გამოვლინდა: მისი ნიჭი, ცოდნა, გამოცდილება, მაღალი ოსტატობა.

კოლექტივმა, ჩემი აზრით, დამაჯერებლად გადაჭრა უძნელესი ამოცანა დრამის სცენიურ მდგომარეობათა გადაყვანისა საცეკვაო მოქმედებაში. იქნებ ლიბრეტოს აკლდეს რამე, იქნებ თვით სპექტაკლში ზოგი რამ ჯერ კიდევ დაუმთავრებელი იყოს. მიღწეულია მთავარი: შექსპირის დიდებულმა ტრაგედიამ ჰპოვა ახალი, თავისებური მუსიკალური და ქორეოგრაფიული გამოხატულება, და ვფიქრობ, არ დაუკარგავს თავისი სილამაზე, პათოსი სწორედ ცეკვით, მოძრაობათა პლასტიკით გადმოცემულია ტრაგედიის მსვლელობა, დახატულია გმირების სახეები, გამოთქმულია მათი აზრები და გრძნობები. ჩვენ განუწყვეტლივ ვხედავთ საცეკვაო მოქმედებას მისი რთული ფსიქოლოგიური ქვეტექსტით, მოვლენების, პერიპეტიების, ხასიათების ურთიერთ კავშირით.

ხელოვნებაში არის რაღაც საიდუმლოება შტრიხისა, ერთადერთი სწორი დეტალისა, რომელიც მოულოდნელად სინათლესა და აზრს ანიჭებს მთელს. ერთ მოკლე წამში უეცრად გვევლინება ყველაფერი, რაც შეადგენს ამა თუ იმ მხატვრული გადაწყვეტის წამყვან აზრს. ასეთი „ცენტრი" ამ ბალეტშიც არის. მე მხედველობაში მაქვს ოტელოს სოლო ცეკვა მეორე აქტში — ბალეტმეისტერის ერთ-ერთი ყველაზე შესანიშნავი მიგნება. ეს სცენა მე მესმის, როგორც მის მიერ ოტელოს სახის გაგების გასაღები. თავდავიწყებულ ცეკვაშია მთელი მისი ოტელო: მისი დიდი სიყვარული, ტემპერამენტი, ღია სული, გულგახსნილობა.

საცეკვაო ნახატი, რომლისთვისაც ჭაბუკიანს მიუგნია ოტელოს სახის გადმოსაცემად, დახვეწილად არის გააზრებული, მასში ყველაფერი ორგანულია მოცემული სახისათვის, მოცემული სპექტაკლისათვის. ჭაბუკიანმა ღრმა შინაარსი მისცა კლასიკური ცეკვის პირობითს ენას, აზრი და გარკვეულობა შთაბერა მის თვითეულ ელემენტს. სპექტაკლში ვერსად ვერ იპოვნით ცეკვას ცეკვის გულისათვის. ცეკვა აქ გამოხატავს სულიერ მდგომარეობას, ნათელ აზრს. ჩვენ, ბალეტის მსახიობები, მუდამ ვესწრაფვით ამას. ჩვენთვის არ კმარა მხოლოდ ცეკვა, ჩვენ გვინდა ცეკვით ვლაპარაკობდეთ.

ახალი ბალეტი ერთხელ კიდევ გვარწმუნებს, რომ ყოველი ქორეოგრაფიული სპექტაკლის საფუძველთა საფუძველია დრამატურგია. ყველაფერი მით იწყება: მუსიკა, ცეკვა, ფერწერა. ზოგიერთი უკანასკნელი საბალეტო დადგმის სამწუხარო წარუმატებლობა აიხსნება უწინარეს ყოვლისა დრამატურგიის უგულებელყოფით. ასე როდია „ოტელოში". თეატრს სათუთად შეუნახავს მოქმედების დრამატული ქარგა და ამასთან ერთად მეტად ტაქტიანად, შექსპირის წინაშე სრულიად შეუცოდავად, შეუტანია მთელი რიგი ახალი სცენები და მდგომარეობანი. მოქმედება ბალეტში (შეიძლება ითქვას, მეორე აქტის გამოკლებით) მიმდინარეობს სწრაფად, კარგი ტემპით. თვითეული მდგომარეობა ლოგიკურად გამომდინარეობს წინა მდგომარეობიდან.

მე უკვე ვთქვი, რომ სპექტაკლი გამოირჩევა კარგი აქტიორული ანსამბლით.

მომეწონა შესანიშნავი პლასტიკური მოცეკვავე ზ. კიკალეიშვილი (იაგო), მომხიბვლელი ვ. წიგნაძე (დეზდემონა), მ. გრიშკევიჩი (ემილია). სოლისტებიც და კორდებალეტიც დიდი გატაცებით ცეკვავენ. თვითეული მსახიობი სპექტაკლს აქსოვს მთელ თავის ტემპერამენტს, მთელ თავის აქტიორულ შესაძლებლობებს.

ბევრი მეტყველი ეპიზოდი მოვისმინე ა. მაჭავარიანის მუსიკაში. არ შევუდგები მის ანალიზს, მხოლოდ აღვნიშნავ, რომ ბალეტის მუსიკა სახოვანი, დამახასიათებელი, ცეკვისათვის მოსახერხებელია. ყველაფერი ეს ჩინებულად გამოავლინა დირიჟორმა ო. დიმიტრიადიმ.

საინტერესო, თავისებურია სპექტაკლის გაფორმება, რაც შესრულებულია ნიჭიერი, დიდი გემოვნების მქონე და ოსტატი მხატვრის ს. ვირსალაძის მიერ. მას უყვარს ბალეტი და კარგად იცნობს მას, უნარი შესწევს მკაფიოდ „გამოაჩინოს" მსახიობი, ხაზი გაუსვას ყველა მის მოძრაობას.

ძალიან ლამაზია მთელი პირველი აქტი — სცენა აივანთან, ჯვრისწერა და განსაკუთრებით სენატი. მომეწონა აგრეთვე მესამე და მეოთხე აქტი. სპექტაკლში ბევრია ფერადოვანი, ლამაზი სცენა. მხატვარი ოსტატურად იყენებს შავ ფონს და თითქოს შიგ ჩახატავს ხოლმე მსახიობს. ასეთია, მაგალითად, დეზდემონას პირველი გამოსვლა ან მისი დუეტი ოტელოსთან ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ფონზე. განსაცვიფრებლად კარგია გმირების კოსტიუმები. მათ უმრავლესობაში მხატვარს გამოუვლინებია პერსონაჟების ხასიათები.

ჩემი მოკლე შენიშვნა რეცენზია როდია. მე ამოცანად არ დამისახავს დაწვრილებით გამერჩია სპექტაკლი, ყველა მისი შემქმნელისა და მონაწილის დიდი მუშაობა. მე მხოლოდ მინდოდა გამოვხმაურებოდი ქართველი მსახიობების წარმატებას, რომელიც ყველას გვახარებს, მიმელოცა თეატრის ნიჭიერი კოლექტივისათვის. ახალგაზრდა საბალეტო დასი გაბედულად ჰკიდებს ხელს დიდ, მნიშვნელოვან თემებს, მისი საქმიანობა აღნიშნულია სერიოზული ძიებით.

ეჭვი არ მეპარება, რომ დიდხანს და ბედნიერად იცოცხლებს ბალეტი „ოტელო", რომელმაც აღაფრთოვანა ყველა, ვინც კი იგი ნახა.

**გალინა ულანოვა.**

„პრავდა", 30/III.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოეთის გამოხმაურება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის გამო

მსოფლიო საზოგადოებრიობა დიდ ინტერესს იჩენს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის მუშაობისადმი.

ჩინეთის ყველა ცენტრალური გაზეთი აქვეყნებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების შინაარსს. ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო გაზეთი „ჟენმინჟიბაო" სათაურში ხაზგასმით აღნიშნავს: „მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაცია ხელს უწყობს კომუნისტურ მშენებლობას. საყოველთაო სახალხო განხილვამ ცხადყო, რომ ეს ღონისძიება დროული და სწორია".

საყოველთაო სახალხო განხილვამ ცხადყო, წერს გაზეთი „ბეიძინჟიბაო", რომ ყველა საბჭოთა ადამიანი გამსჭვალულია ზრუნვით სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისათვის. ბეჭდავენ რა ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების შინაარს, გაზეთები განსაკუთრებით გამოყოფენ იმ ადგილებს, სადაც ლაპარაკია საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის წარმატებებზე, ზოგიერთ თეორიულ საკითხზე, რომლებსაც ეხება მტს-ების რეორგანიზაცია, სარემონტო-ტექნიკური სადგურების როლზე.

პოლონეთის გაზეთები მიესალმებიან სსრ კავშირში სოფლის მეურნეობისა და საკოლმეურნეო წყობილების განვითარების ახალ პროგრამას, რომელიც ჩამოყალიბებულია ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში. „ტრიბუნა ლიუდუ", „გლოს პრაცი" და სხვა ცენტრალური გაზეთები აქვეყნებენ ანგარიშებს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს სხდომების შესახებ. გაზეთები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ღონისძიებებს, რომლებმაც საყოველთაო მხარდაჭერა ჰპოვეს საყოველთაო-სახალხო დისკუსიის მსვლელობაში, ერთხულოვნად უჭერენ მხარს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები.

ახასიათებს რა სესიის მნიშვნელობას, ალბანეთის გაზეთი „ზაშქიმი" მოწინავე სტატიაში წერს, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ახლანდელი სესია ერთხელ კიდევ დამაჯერებლად ცხადყოფს საბჭოთა ხალხის ურღვევ დარაზმულობას თავისი სახელოვანი კომუნისტური პარტიის გარშემო, მის ურყევ გადაწყვეტილებას ააშენოს კომუნისტური საზოგადოება. სოფლის მეურნეობისა და მთელი საბჭოთა ეკონომიკის აყვავებისათვის, განაგრძობს გაზეთი, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ღონისძიებებს, რომლებიც დასახულია დეპუტატების განსახილველად შეტანილ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში „საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ". მოხსენება შეიცავს მნიშვნელოვან თეორიულ დებულებებს, წერს გაზეთი. იგი ღრმა მარქსისტულ-ლენინურ ანალიზს უკეთებს საკითხს საკუთრების ორი ფორმის შესახებ და სხვა პრობლემებს.

ბერლინის დემოკრატიული გაზეთები თვალსაჩინო ადგილზე აქვეყნებენ ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების დაწვრილებით შინაარსს. „ნოიეს დოიჩლანდი" მოხსენებიდან გამოყოფს სიტყვებს იმის შესახებ, რომ კოლექტივიზაციის ლენინური პოლიტიკის გამარჯვების შემდეგ მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ახლანდელი რეორგანიზაცია ყველაზე დიდი და ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა სოციალისტური სოფლის მეურნეობის მშენებლობაში. გაზეთი „ბერლინერ ცაიტუნგი", სათაურში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარების ღონისძიებანი წარმოადგენენ ახალ ეტაპს მის განვითარებაში. გაზეთი აღნიშნავს, რომ მტს-ების რეორგანიზაციას, საბოლოო ანგარიშით, მოჰყვება საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესება.

ჯერ კიდევ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის გახსნის წინ ჩეხოსლოვაკიის პრესა და რადიო ფართო კომენტარს უკეთებდნენ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისების საყოველთაო-სახალხო განხილვას სსრ კავშირში. ახლა ჩეხოსლოვაკიის პრესა დაწვრილებით აშუქებს სესიის მუშაობას. გაზეთი „რუდე პრავო", აქვეყნებს რა ცნობას ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების განხილვის მსვლელობის შესახებ, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ყველა დეპუტატი მხურვალედ იწონებს მოხსენებაში დასახულ ღონისძიებებს, რომელთა მიზანია სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობა. გაზეთი „ლიდოვე დემოკრაციე" წერს, რომ დისკუსია სესიაზე მოწმობს ერთ რამეს — ადამიანები ახლებურად, კიდევ უკეთესად იშრომებენ საკოლმეურნეო მინდვრებში. გაზეთი „მლადა ფრონტა" აღნიშნავს, რომ საწარმოო ძალები სსრ კავშირის სოფლის მეურნეობაში იმდენად გაიზარდნენ, რომ კოლმეურნეობათა მომსახურების ძველი ფორმები მოძველდა. სწორედ ამიტომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ასე მხურვალედ იწონებენ სესიაზე მტს-ების რეორგანიზაციის ღონისძიებებს, — ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი. — მათ მიაჩნიათ, რომ ეს ღონისძიებები სავსებით დროულია.

დასავლეთ გერმანიის გაზეთებს მოჰყავთ ძირითადი შინაარსი ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებისა და ცნობები უმაღლესი საბჭოს სხდომებზე ამ მოხსენების განხილვის შესახებ. გაზეთმა „დი ველტმა" მოათავსა სტატია, რომელშიც აღნიშნულია დიდი შინაპოლიტიკური და საერთაშორისო მნიშვნელობა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებისა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ ნ. ს. ხრუშჩოვის დანიშვნის შესახებ. გაზეთი აღნიშნავს აგრეთვე, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს მრეწველობის მართვის რეორგანიზაციას, რომელიც ნ. ს. ხრუშჩოვის ინიციატივით განხორციელდა საბჭოთა კავშირში, აგრეთვე ღონისძიებებს სოფლის მეურნეობის დარგში. (საკდესი).

# ჩოუ ენ-ლაის გამოსვლა პოლონეთის მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად გამართულ დარბაზობაზე

პეკინი, 30 მარტი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო გადმოგვცემს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერმა ჩოუ ენ-ლაიმ, გამოვიდა რა დარბაზობაზე პოლონეთის მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად, თქვა, რომ ჩინეთის მთავრობა და ხალხი სავსებით უჭერენ მხარს პოლონეთის მთავრობის მიერ წამოყენებულ წინადადებას, რომ ცენტრალურ ევროპაში შეიქმნას ატომური იარაღისაგან თავისუფალი ზონა, და მიაჩნიათ, რომ ამ წინადადების განხორციელებას დიდი მნიშვნელობა ექნება ევროპის მშვიდობისა და უშიშროების შესანარჩუნებლად.

პოლონელმა ხალხმა, თქვა მან, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის ხელმძღვანელობით უდიდესი წარმატება მოიპოვა სოციალიზმის მშენებლობის საქმეში.

პოლონეთის მთავრობა, ხაზგასმით აღნიშნა მან, თანმიმდევრულად ახორციელებს სამშვიდობო საგარეო პოლიტიკას და იღებს მუდმივ ღონისძიებებს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის დაცვის ინტერესებისათვის.

სახელმწიფო საბჭოს პრემიერმა ჩოუ ენ-ლაიმ თავის სიტყვაში განსაკუთრებით აღნიშნა ის დიდმნიშვნელოვანი წვლილი აზიის მშვიდობის დაცვის საქმეში, რომელიც შეიტანა პოლონეთმა, როგორც ნეიტრალურ სახელმწიფოთა წარმომადგენლებისაგან კორეაში დაზავების მეთვალყურეობისათვის შექმნილი კომისიისა და ინდოჩინეთში მეთვალყურეობისა და კონტროლის საერთაშორისო კომისიის ერთ-ერთმა წევრმა სახელმწიფომ.

ილაპარაკა რა ჩინეთისა და პოლონეთის მეგობრობაზე, ჩოუ ენ-ლაიმ თქვა: ჩინეთი და პოლონეთი ძმები არიან სოციალისტურ ოჯახში. ასეთი ძმური ურთიერთობის დამახასიათებელი ნიშანია ურთიერთდახმარება, ურთიერთმხარდაჭერა, ურთიერთთანამშრომლობა და ისწრაფება სოციალისტური მშენებლობის საქმის ერთობლივი განვითარებისადმი. ჩვენ მიგვაჩნია, რომ თვითეული სოციალისტური ქვეყნის ინტერესებისა და მთელი სოციალისტური ოჯახის საერთო ინტერესების უზრუნველყოფის მიზნით საჭიროა მუდამ ვავითარებდეთ თანამშრომლობის ასეთ ურთიერთობას ყველა ძმურ ქვეყანას შორის. სიხარულით აღვნიშნავთ, რომ ჩინეთისა და პოლონეთის მეგობრული ურთიერთობა და თანამშრომლობა სხვადასხვა დარგში მნიშვნელოვნად განმტკიცდა უკანასკნელ წლებში. სულითა და გულით ვუცხადებთ მადლობას პოლონელ ხალხს მისი მხარდაჭერისა და დახმარებისათვის, რაც ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მშენებლობის საქმეში აღმოგვიჩინა.

ჩვენს ქვეყანაში თქვენი ყოფნის დროს, აღნიშნა ჩოუ ენ-ლაიმ, მოლაპარაკებას ვეწეოდით ჩვენს მთავრობასთან ეკონომიური თანამშრომლობის საკითხებზე. ამ მოლაპარაკების შედეგად უფრო განმტკიცდება ორივე ჩვენი ქვეყნის ეკონომიური თანამშრომლობა.

პოლონეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ პ. იაროშევიჩმა, რომელიც პოლონეთის მთავრობის დელეგაციას მეთაურობს, თავის სიტყვაში განაცხადა, რომ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის პარტია და მთავრობა თანმიმდევრულად ახორციელებენ ყველა სოციალისტურ ქვეყანასთან და განსაკუთრებით საბჭოთა კავშირთან და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან ძმური ეკონომიური თანამშრომლობის განმტკიცების პოლიტიკას.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ პოლონელი ხალხი მუდამ განამტკიცებს ურღვევ მეგობრობასა და ძმობას ორივე ხალხს შორის, რომლებიც გაერთიანებული არიან მთელ სოციალისტურ ბანაკთან სოციალიზმის დიადი იდეებით, ინტერნაციონალიზმის პრინციპებით, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებით.

# გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების მეექვსე კონგრესმა დაამთავრა მუშაობა

ბ ე რ ლ ი ნ ი, 30 მარტი. (საკდესი). დღეს ბერლინში მუშაობა დაამთავრა გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების მე-6 კონგრესმა.

კონგრესის საბოლოო სხდომაზე მიღებულ იქნა რეზოლუცია, სადაც აღნიშნულია, რომ ვითარებას, რომელშიც მიმდინარეობს მე-6 კონგრესი, ახასიათებს მშვიდობისათვის მებრძოლი ძალების ზრდა მთელ მსოფლიოში, საერთაშორისო ასპარეზზე ძალთა თანაფარდობის შეცვლა სოციალიზმისა და მშვიდობის სასარგებლოდ, განმტკიცება მშვიდობის მძლავრი სოციალისტური ბანაკისა საბჭოთა კავშირის მეთაურობით. ამ განვითარების შედეგად, ნათქვამია რეზოლუციაში, მშვიდობის ძალები იმდენად განმტკიცდნენ, რომ არის ომის არ დაშვების რეალური შესაძლებლობა.

საზოგადოების უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიჩნეულია ის, რომ ხელი შეუწყოს გერმანელი და საბჭოთა ხალხების მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას. გერმანელი ხალხის ისტორიის უკანასკნელი 40 წლის გამოცდილებამ, ნათქვამია რეზოლუციაში, ცხადყო:

მტრობა საბჭოთა კავშირის მიმართ სჭირდებათ მხოლოდ ომის გამჩაღებლებს, იგი არის გერმანული იმპერიალიზმისა და მილიტარიზმის დანაშაულებრივი ანტიეროვნული პოლიტიკის განხორციელების საშუალება.

კონგრესის მონაწილეებმა დიდი აღმავლობით მიიღეს მისასალმებელი დეპეშები პრეზიდენტ ვ. პიკისადმი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა კავშირ-გერმანიის მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებისადმი.

გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების 3,5 მილიონი წევრის სახელით კონგრესმა მიიღო საპროტესტო რეზოლუცია ატომური ომის მზადების პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელსაც დასავლეთ გერმანიის მმართველი წრეები ახორციელებენ.

შემდეგ გაიმართა საზოგადოების თავმჯდომარისა და საზოგადოების პრეზიდიუმის, ცენტრალური გამგეობისა და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობის არჩევნები.

გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების თავმჯდომარედ ერთსულოვნად აირჩიეს სტატს-მდივანი გ. ჰანდტკე.

# ატომური ბაზების ქსელის შექმნა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში

ბ ე რ ლ ი ნ ი, 30 მარტი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი" წერს, დასავლეთ გერმანიის თავდაცვის სამინისტრომ დაუყოვნებლივ მას შემდეგ, რაც ბუნდესტაგმა მიიღო გადაწყვეტილება ბუნდესვერის ატომური შეიარაღების საკითხზე, გასცა ბრძანება დასავლეთ გერმანიაში ატომური რაკეტების გასაშვები ბაზების დაჩქარებული მშენებლობის შესახებ.

ცენტრალური რაიონი რაკეტული ბაზების ქსელში, რომელთა აშენება გათვალისწინებულია ბონში შემუშავებული გეგმით, არის რაინლანდ-პფალცის მხარე, სადაც განზრახულია შეიქმნას 17 ბაზა. რაკეტული დანადგარები განლაგებული იქნება აგრეთვე ბავარიაში, ჰესენის მხარეში, ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის მხარეში, შლეზვიგ-ჰოლშტეინსა და ბადენ-ვიურტემბერგში.

ამოწმებს რა დასავლეთ გერმანიაში ამერიკის ჯარების მთავარსარდლობის ცნობას, „ნოიეს დოიჩლანდი" წერს, რომ უკვე ახლა სავსებით მზად არის ბრძოლისათვის ამერიკის რაკეტული დანადგარები რაინლანდ-პფალცის, ჰესენისა და ბადენ-ვიურტემბერგის მხარეებში. ეს ბაზები შეიარაღებულია „ნაიკ-აიაქსის" ტიპის რაკეტებით.

# საბერძნეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის დეკადა

ა თ ე ნ ი, 30 მარტი. (საკდესი). დღეს ათენის ერთ-ერთ საუკეთესო თეატრ „იდეალში" გაიმართა ათენისა და პირეის საზოგადოებრიობის საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა საბერძნეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის დეკადას. თეატრის დარბაზი ხალხით იყო გაჭედილი. კრებაზე მოვიდნენ საბერძნეთის თვალსაჩინო პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები, პარლამენტის დეპუტატები, საბერძნეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ხელმძღვანელები, მოსამსახურეები, მუშები, გლეხები, კულტურისა და მეცნიერების მოღვაწეები. დარბაზში არიან უცხოეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირის დელეგაცია პროფ. ა. ა. არზუმანიანის მეთაურობით, სსრ კავშირის ელჩი საბერძნეთში მ. გ. სერგეევი, დიპლომატიური კორპუსის წევრები, ჟურნალისტები.

კრება გახსნა საბერძნეთ-საბჭოთა კავშირის საზოგადოების თავმჯდომარემ პროფესორმა ძონისმა. მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის ელჩმა საბერძნეთში მ. გ. სერგეევმა, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ. ვრცელი სიტყვა წარმოთქვა აგრეთვე პარლამენტის დეპუტატმა პროფესორმა ნიკოლაოს კიციკისმა.



# ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმში

სამტრედიის რაიონის სოფელ დიდ ჯიხაიშში, საავტომობილო გზის ხელმარჯვნივ გამვლელთა ყურადღებას იპყრობს შვეიცარულ სტილზე აგებული ორსართულიანი შენობა. იგი გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეს და პუბლიცისტს ნიკო ნიკოლაძეს ეკუთვნოდა 1886 წელს. ახლა აქ ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმია მოთავსებული.

სახლ-მუზეუმს 20-მდე განყოფილება აქვს, სადაც უხვად არის წარმოდგენილი ნიკო ნიკოლაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მასალები — წიგნები, გაზეთები, ფოტოსურათები, პირადი წერილები, ნივთები და სხვ. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს განყოფილებები — ნიკო ნიკოლაძის წინაპრები, მოწაფეობისა და სტუდენტობის პერიოდი, ნიკო ნიკოლაძე და ჩერნიშევსკი, გერცენი და ნიკოლაძე, ნიკო ნიკოლაძე და სოფლის მეურნეობა.

სახლ-მუზეუმს ყოველწლიურად დიდძალი დამთვალიერებელი ჰყავს. 1951 წელს, მისი გახსნის პირველ წელს, იგი 8 ათასზე მეტმა კაცმა დაათვალიერა, ხოლო შემდეგ ყოველწლიურად 2—2,5 ათასი კაცი ათვალიერებს მას. დღემდე მუზეუმი ინახულა 20 ათასამდე კაცმა. აქ მოდიან ექსკურსანტები თბილისიდან, ქუთაისიდან, სოხუმიდან, ბათუმიდან, წულუკიძიდან, ვანიდან და ჩვენი რესპუბლიკის სხვა კუთხეებიდან. სახლ-მუზეუმის დასათვალიერებლად დელეგაციები იყვნენ აგრეთვე სომხეთიდან და ლატვიიდან. ამ დღეებში, ნ. ნიკოლაძის გარდაცვალების 30 წლისთავთან დაკავშირებით საგრძნობლად გაიზარდა დამთვალიერებელთა რიცხვი.

უკანასკნელ ხანებში სახლ-მუზეუმმა სერიოზული მუშაობა გაწია ნიკო ნიკოლაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ახალი მასალების შესაგროვებლად. მთელ რიგ განყოფილებებს შემატა ახალი ექსპონატები და მასალები. მაგალითად, შეივსო განყოფილებები: ნიკო ნიკოლაძე და ჩერნიშევსკი, ნიკო ნიკოლაძე და გერცენი. სახლ-მუზეუმმა შეიძინა გერცენისა და ოგარიოვისადმი ნიკო ნიკოლაძის პირადი წერილების ფოტოპირები, რომლებიც 1945 წლამდე ინახებოდა პრაღაში ე. წ. „პრაღის კოლექციაში". იგი ჩეხოსლოვაკიის მთავრობამ საჩუქრად გადასცა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიას. ამ უკანასკნელმა 1954 წელს ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიისაგან საჩუქრად მიიღო აგრეთვე გერცენისა და ოგარიოვის არქივის ის ნაწილი, რომელიც 1953 წლამდე სოფიაში ინახებოდა.

სახლ-მუზეუმი დიდ მუშაობას ეწევა ნიკო ნიკოლაძის თანამედროვეთა მოგონებების შეგროვების მიზნითაც. ინტერესს იწვევს ნიკო ნიკოლაძის წერილი დიდი ჯიხაიშის მცხოვრებ ს. დევიძისადმი და მისი სხვა წერილები, სადაც ჩანს ნიკო ნიკოლაძის მზრუნველობა დიდი ჯიხაიშის კეთილმოწყობისა და სოფლის მეურნეობაში კულტურის დანერგვის საქმისადმი. მან დიდ ჯიხაიშში დააარსა ფოსტა-ტელეგრაფი, საავადმყოფო, სასწავლებელი, მდინარე ცხენისწყლიდან გამოიყვანა სარწყავი არხი. ამ არხით დღესაც სარგებლობენ ადგილობრივი კოლმეურნეები.

მნახველთა ყურადღებას იპყრობს მზის საათი, რომელიც ნიკო ნიკოლაძეს გაუკეთებია პარიზში სპეციალურად დიდი ჯიხაიშისათვის. იგი გასულ წელს სახლ-მუზეუმს გადასცა კოლმეურნე ა. ვაშაკიძემ. დიდჯიხაიშელმა ლ. დარსაველიძემ სახლ-მუზეუმს გადასცა ნიკო ნიკოლაძის რედაქტორობით გამომავალ გაზეთ „ობზორის" სათაურის კლიშე და გაზეთ „ობზორის" რედაქციის აბრა.

სახლ-მუზეუმს შემატა სურათები: კარლ მარქსი და ნიკო ნიკოლაძე, ნიკო ნიკოლაძის პირველი შეხვედრა ჩერნიშევსკისთან, ნიკო ნიკოლაძე „კოლოკოლის" რედაქციაში გერცენთან და ოგარიოვთან ერთად და სხვ.

1953 წელს სახლ-მუზეუმმა აღნიშნა ნიკო ნიკოლაძის დაბადების 110 წლისთავი, ხოლო 1956 წელს მისი ვაჟიშვილის გიორგი ნიკოლაძის გარდაცვალების 25 წლისთავი და მოაწყო ამ თარიღებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციები, რომელთა მუშაობაში მონაწილეობდნენ თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკის ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკები. ამჟამად სახლ-მუზეუმი ემზადება ნიკო ნიკოლაძის დაბადების 115 წლისთავის შესახვედრად, რომელიც მიმდინარე წლის სექტემბერში აღინიშნება.

აქ სისტემატურად იმართება ლექცია-მოხსენებები, მიძღვნილი ნიკო ნიკოლაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი. ხშირად მახლობელ კოლმეურნეობებში აწყობენ მოძრავ გამოფენებს, რის საშუალებითაც სოფლის მშრომელები, ეცნობიან მათი ღირსეული თანამემამულის ცხოვრებას.

**ვ. კოპალეიშვილი,**
„კომუნისტის" ხაკ. კორესპონდენტი.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმი დიდ ჯიხაიშში.
ფოტო გ. გორისელისა.

# რ ა მ დ ე ნ ი მ ე ს ტ რ ი ქ ო ნ ი თ

22.000-ზე მეტმა თბილისელმა უკვე ნახა ერევნის ა. სპენდიარიანის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის საგასტროლო სპექტაკლები, რომლებიც დიდი წარმატებით მიმდინარეობს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის შენობაში.

„ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა მოსკოვში" — ამ სახელწოდებით ამ დღეებში გაიხსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში წიგნების გამოფენა, რომელიც მოაწყო აკადემიის ცენტრალურმა სამეცნიერო ბიბლიოთეკამ. გამოფენის სტენდებზე წარმოდგენილია სადეკადო ლიტერატურა, დეკადის მონაწილეთა ფოტოსურათები და სხვა მასალები.

ი. ბ. სტალინის მუზეუმი ქ. გორში დამთვალიერებელთათვის ღიაა ყოველდღე 9-დან 18 საათამდე. ორშაბათი გამოსასვლელი დღეა.

ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის დირექცია.

## დ ღ ე ს
## თბილისის თეატრებში

**რუსთაველის სახელობის** — კომბლე (12 ს.), პერიკოლა (საღამოს) — მუსიკალური კომედიის თეატრის სპექტაკლები, **მარჯანიშვილის სახელობის** — კიკვიძე (საღამოს) — მახარაძის თეატრის სპექტაკლი, **სომხური დრამის** — როგორ მოვათვინიეროთ ცოლი (საღამოს), **მოზარდ მაყურებელთა ქართული**—გამომგონებლები (11 ს., აბ. № 36), სომბრერო (2 ს. აბ. № 14), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — სომბრერო (11 ს. აბ. № 11), კოქლი მეწისქვილე (3 ს., აბ. № 9), **თოჯინების რუსული** — საყვარელი ბაჭია (11 ს. და 1 ს.).

## კინოთეატრებში

**რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი, ისანი, პლეხანოვის სახელობის კლუბი** — ძმები, **ამირანი** — მოგზაურობა სამ ზღვას იქით, **სპარტაკი** — თოლიები კვდებიან ნავსადგურში, **თბილისი** — პეტერი, კომკავშირელი, **კოლხიდა, ი. ჭავჭავაძის სახელობის კლუბი, ოფიცერთა სახლი** — ქალიშვილი უმისამართოდ, **26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი), **საქართველო** (წითელი დარბაზი), **სარეწაო კოოპერაციის კულტურის სახლი**—ქარიშხლიანი წლები, **26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი) — საგრაფოს ნანგრევებზე.

## დისერტაციების დაცვა

თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი

(ილია ჭავჭავაძის პროსპ. № 32)

1958 წლის 11 აპრილს დღის 1 საათზე № 2 აუდიტორიაში პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციას დაიცავენ:

ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის სპეციალობით:

**ოთარ ვარლამის-ძე დოლაბერიძე**— თემაზე: „მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟის სწავლება სკოლაში".

პედაგოგიკის სპეციალობით:

**შოთა დავითის-ძე კუჭუხიძე** — თემაზე: „ვ. ი. ლენინი მასწავლებლის შესახებ".

დისერტაციების გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.

მეუღლე პელაგია, შვილი ოთარი, რძალი მარიამი, თამარ და ნინო ქუჩუკაშვილები, ნინო და დავით წერეთლები ოჯახით იუწყებიან

**ნიკოლოზ გიორგის-ძე ქუჩუკაშვილის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 1, 2-IV, 8 ს. გამოსვენება 3-IV, 5 ს. აბაკელიას ქ. № 11.

მშობლები სონია, დავით, მეუღლე მარო, შვილები იზოლდა, ზაური, ძმა გიორგი, რძლები ნუცა, ქეთევან იუწყებიან

**ალექსანდრე დავითის-ძე ლეჟავას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 1,2-IV, 8 ს. გამოსვენება 3-IV, 5 ს. გურამიშვილის ქ. № 21.

შვილი მიხეილ, რძლები ზინა, საშა; ვლადიმერ, როსტომ, ციცანა ყენიები იუწყებიან

**ოლღა ელიზბარის ასულ ყენიას**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 3-IV, სოფ. საჭამიასერში (ჩოხატაურის რ.).

# ს პ ო რ ტ ი ს ა მ ბ ე ბ ი

## მ ა ტ ჩ - რ ე ვ ა ნ შ ი

30 მარტს მოსკოვის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში მოეწყო მსოფლიო პირველობაზე ვ. სმისლოვისა და მ. ბოტვინიკის საჭადრაკო მატჩ-რევანშის გადადებული პარტიის დამთავრება.

ეს პარტია გადადებული იყო ვ. სმისლოვის მცირე უპირატესობით, მაგრამ ეს უპირატესობა გამარჯვებისათვის საკმარისი არ აღმოჩნდა და პარტია ყაიმით დამთავრდა.

10 პარტიის შემდეგ მატჩის ანგარიში გახდა $6^1/_2 : 3^1/_2$ მ. ბოტვინიკის სასარგებლოდ. დღეს გაიმართება მე-11 პარტია.

## მსოფლიო პირველობის მსაჯები

როგორც ცნობილია, მიმდინარე წლის ივნისში შვეციაში მოეწყობა ფეხბურთში მსოფლიო პირველობის გათამაშების დასკვნითი შეხვედრები. დამტკიცებულია მსაჯთა კოლეგია 30 კაცის შემადგენლობით.

სსრ კავშირიდან მსაჯთა კოლეგიაში შევიდა საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი მ. ლატიშევი.

ყოველი მატჩისათვის დამტკიცებულია მსაჯთა ბრიგადა. მაგალითად, ინგლისისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდების შეხვედრას სჯის უნგრელი მსაჯი ზოლტი, სსრ კავშირისა და ავსტრიის გუნდების ასპარეზობას — ერგენსენი (დანია), ბრაზილიისა და საბჭოთა კავშირის გუნდების შეჯიბრებას — გიგო (საფრანგეთი).

## მ ო კ ლ ე დ

⊙ შვეციაში სტუმრად იმყოფება სსრ კავშირის ჩემპიონი ბურთიან ჰოკეიში სვერდლოვსკის სამხედრო საოლქო სასპორტო კლუბის გუნდი. მორიგი 2 საერთაშორისო შეხვედრა საბჭოთა სპორტსმენებმა გამართეს ქალაქების ერებრუსა და ბოლნესის გუნდებთან. აქედან პირველი შეხვედრა მოიგეს 4 : 3, მეორე წააგეს — 3 : 5.

⊙ ჩეხოსლოვაკიის პროფკავშირთა მიწვევით მოსკოვიდან პრაღაში გაემგზავრა სსრ კავშირის პროფკავშირთა სასპორტო საზოგადოებების ალპინისტთა დელეგაცია. ჩეხოსლოვაკიის ალპინისტებთან ერთად საბჭოთა სპორტსმენები მოაწყობენ რამდენიმე ასვლას სხვადასხვა მწვერვალზე.

⊙ ლვოვის მძლეოსანთა ასპარეზობაში, რომელიც დახურულ შენობაში მოეწყო, წარმატებით გამოვიდა სსრ კავშირის ჩემპიონი ი. ტეროვანესიანი, რომელიც გადახტა 7 მეტრსა და 53 სანტიმეტრზე და დაამყარა ჩვენი ქვეყნის ახალი რეკორდი.

## თბილისის დინამოელთა გამარჯვება

30 მარტს თბილისის „დინამოს" სტადიონზე შედგა მორიგი კალენდარული მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის „დინამოსა" და თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სპორტული კლუბის ოსტატ ფეხბურთელთა გუნდები.

დინამოელთა სპორტულ ღირსებას იცავდნენ ა. კვაჭაძე, ა. კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, გ. ხოჭოლავა, დ. ხუნდაძე, ა. ღოღობერიძე, ზ. ხასაია, ვ. ბარქაია, თ. მელაშვილი, შ. იამანიძე, ე. დალაქიანი. მეორე ტაიმის პირველ ნახევარში შ. იამანიძე შესცვალა ა. ნორაკიძემ.

თბილისელებმა შეხვედრის პირველი წუთებიდანვე მაღალი ტემპი აიღეს, ტაქტიკურად სწორად ააგეს თამაში. გუნდის თვითეული წევრი 90 წუთის განმავლობაში მთელი მონდომებით იბრძოდა გამარჯვებისათვის, რამაც ხასიათის შედეგი გამოიღო. თამაშის მე-17 წუთზე შ. იამანიძემ კარგად გამოიყენა ხასაიას მიერ ჩაწოდებული ბურთი და ანგარიში გახსნა. ტაიმის დასასრულს სტუმრებმა ისარგებლეს დინამოელთა დაცვის შეცდომით და ანგარიში გაათანაბრეს.

თამაშის მეორე ნახევარში თბილისელთა იერიშებმა უფრო გაამახვილებული მწვავე ხასიათი მიიღო. ერთ-ერთი იერიშის დროს დინამოელებმა გაითამაშეს ლამაზი კომბინაცია, რომელიც დალაქიანის დარტყმით და გოლით დაგვირგვინდა.

შეხვედრა დამთავრდა თბილისის „დინამოს" გამარჯვებით ანგარიშით 2 : 1.

თამაშს ობიექტურად სჯიდა საკავშირო კატეგორიის მსაჯი ვ. ბოგდანოვი.



ს უ რ ა თ ზ ე: ცსკ-მოხა და თბილისის „დინამოს" მატჩის ერთ-ერთი მომენტი.
ფოტო ვ. გინზბურგისა.

რედაქტორი პ. რატიანი.

მეუღლე დორა, შვილი მარგალიტა ჩიხლაძეები, სიძე დავით გაგნიძე ოჯახით იუწყებიან

**ვასილ როსტომის-ძე ჩიხლაძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 1, 2-IV, 8 ს. გამოსვენება 3-IV, 5 ს, ართვინის ქ. № 34.

მეუღლე ნადია, შვილები ნუნუ, სოსო, ნიკოლოზ, მედეა, რძალი ნუნუ; ვარვარა, გალინა გიორგაძეები იუწყებიან

**შალვა ნარიმანის-ძე ვარდოსანიძის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 3-IV, 5 ს. სოფ. მეორე ობჩაში (მაიაკოვსკის რ.).

მეუღლე ვასილ, შვილები შოთა, ბონდო, ციცანა, მარიამ, დედა ოლია, რძალი ვენერა, დები საშა, ვარა, ძმები ვასილ, სტეფანე ხვედელიძეები ოჯახებით იუწყებიან

**ნინო დავითის ასულ ხვედელიძე-ჭანკვეტაძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 1, 2-IV, 8 ს. გამოსვენება 3-IV, 5 ს. ფოთის ქ. № 1.

მეუღლე ეფემია, შვილები გიორგი, ალექსი; მერი, ანზორ, გიორგი ჩარაევები იუწყებიან

**დავით ბადილის-ძე ჩარაევის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 1, 2-IV, 8 ს. გამოსვენება 3-IV, 5 ს. ფარკოსელის ქ. № 42.

მეუღლე შუშანა, შვილები ოთარ, ქეთევან, რძალი ნუნუ, სიძე შ. პიროევი; ა. გორგაძე, კონსტანტინე, თეიმურაზ, მერაბ, ზეინაბ იუწყებიან

**გრიგოლ გიორგის-ძე ბარსეგოვის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 1, 2-IV, 8 ს. გამოსვენება 3-IV, 5 ს, არაგვისპირელის ქ. № 20.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საბჭოთა კონტროლის კომისიის თანამშრომლები იუწყებიან

**ვლადიმერ სილიბისტროს-ძე გაბუნიას**

გარდაცვალებას.

მეუღლე დავით, შვილები ნონა, მარიკა, სიძეები ა. მირიანაშვილი, ნ. ჯაფარიძე; თეიმურაზ მირიანაშვილი იუწყებიან

**ნინო დავითის ასულ გოცირიძე-ვაჩაძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 1, 2-IV, 8 ს. გამოსვენება 3-IV, 4 ს. კრილოვის ქ. № 10.

შვილები შურა, ანა, აკაკი, რძლები ლიზა, მედეა, ძმა ლუკა ბაქრაძე; თამარ, შალვა ბაბუხადიები იუწყებიან

**კალინკა მათეს ასულ გვეტაძის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 3-IV, სოფ. ციხიაში (ტყიბულის რ.).

სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მედიკო-სანიტარული ნაწილი იუწყება

**ამბროსი ივანეს-ძე ოდიშარიას**

გარდაცვალებას.

მეუღლე ნინო, შვილები რევაზ, რუსუდან ყენიები, რძალი ნანა გოგიტიძე; მარინე ყენია იუწყებიან

**ივანე ნესტორის-ძე ყენიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 1, 2-IV, 8 ს. გამოსვენება 3-IV, 5 ს. ჩახრუხაძის ქ. № 17.

შვილები ალექსანდრე, შალვა, ნიკოლოზ, აკაკი გოცირიძეები, და ნინო ჭაბაშვილი, ოთარ გოცირიძე ოჯახებით იუწყებიან

**ელისაბედ დიმიტრის ასულ ნანობაშვილი-გოცირიძის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 3-IV, 5 ს. სიღნაღში, გამოსვენება სარაჯიშვილის შესახვ. № 1.

შვილები ნადია, დონერი, გერმანე, ადერკინ, რძლები თამარ, ნაზი, ძმები კონსტანტინე, ანტიფო ოჯახებით, სიძე ლ. გედევანიშვილი; მანანა, ლიანა, დოდო, ნანა, იური, გივი იუწყებიან

**ივანე ასალოს-ძე კოპლატაძის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 3-IV, 6 ს. ბათუმში, გამოსვენება მარქსის ქ. №65.

უე 02412 საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.